ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული გაზეთი

№1(185) 13 - 26 იანვარი 2017 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

„კოპოლა“

იმ დროებას, ორი ბიჭი რომ მიდიოდა ქუჩაში და შლაპიანი კაცის გამოჩენისას ერთი, ვინც პირველი მოჰკრავდა თვალს, მეორეს თავში წამოარტყამდა შეძახილით — შლაპაო, არ მოვსწრებივარ. წინაფრიანი ქუდების ეპოქაში გავატარე ბავშვობა, როცა ხნიერ კაცებს ლურჯი, ან ყავისფერი ნაჭრისგან შეკერილი კარტუზები ეხურათ, მათზე უმცროსებს ტვიდის, ან ბუკლეს კეპები, ხოლო ახალგაზრდებს ეგრეთ წოდებული „აეროდრომები“, პროფილში მართკუთხა სამკუთხედებს რომ ჰგავდნენ. ქუდებს მაღაზიაში არ ყიდულობდნენ, მათ ოსტატებს აკერინებდნენ პატარ-პატარა სახელოსნოებში, სადაც ახლად გაუთოებული მატერიის მოთბო სურნელი ტრიალებდა. ოსტატებს ვეებერთელა, ხისტარიანი უთოები ჰქონდათ, ნახშირისას რომ ეძახდნენ, რადგან ნაკვერჩხლებით ხურდებოდა, და ფეხით სატრიალებელი საკერავი მანქანები, ოქროსფრად ამოტვიფრული წარწერით — „SINGER“. ყველა უბანს თავისი მექუდე ჰყავდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვისთანაც შორიდან მოდიოდნენ და რიგშიც კი ეწერებოდნენ შეკვეთის მისაცემად. ერთი ასეთი ოსტატი „პესკებზე“ — რიყეზე ცხოვრობდა, მუხრანის ხიდიდან ქვევით, მტკვრისკენ რომ ჩაუხვევდი, იქვე. ზამთრობით ცილინდრის ფორმის „ფეჩი“ ედგა სახელოსნოში და იქიდან გამოღებული ღადარით ავარვარებდა უთოს. მექუდე იოსება, კაფანდარა ბერიკაცი, რომელიც ძაფს ყველაზე წვრილი ნემსის ყუნწშიც კი უსათვალოდ უყრიდა, მხოლოდ კეპებს კერავდა. იმიტომ კი არა, რომ სხვებისა არ შეეძლო, არ უნდოდა, კეპის გარდა, მორკალული საჩიხი რომ ჰქონდა და კინკრიხოს ნაჭერშემოკრული ღილი უმშვენებდა — არცერთ ქუდს არ ცნობდა. მუშტრებს შორის თავისი რჩეულები ჰყავდა, ისინი, ვინც მოხდენილად ატარებდნენ მის ნახელავს და ვისაც ჩაით უმასპინძლდებოდა მასთან ისე, მოსაკითხად შევლისას. წელში გამოყვანილი ჭიქით ცხელი, სურნელოვანი სითხის ხვრეპისას ჰქონდა მოსმენილი ამ ხალხს ამბავი, რომლის თანახმადაც იოსება მამამისის საქმიანობას აგრძელებდა, ხოლო თავად მამას კი, ხელობა ვიღაც უცხოელისგან ესწავლა, ევროპიდან სულ სხვა საქმეზე ჩამოსულ და აქ ჩარჩენილ კაცისგან, რომელსაც ქუდების სამკერვალო გაეხსნა თბილისში...

კეპის დახურვა ინგლისელ დიდგვაროვნებს შემოუღიათ წესად. მორჩებოდნენ თუ არა ცერემონიებს, დაწყებულს ამინდზე საუბრით და დასრულებულს იმპერიის პრობლემების განხილვით, მოიშვლეპდნენ თურმე ატლასის სარჩულიან ცილინდრებს, მოირგებდნენ შალის რბილ კეპებს და ჰერრი, გინდა საჯირითოდ და გინდა სანადიროდ, აღავღავებული მწევრების თანხლებით.

სიცილიაში სწორედ ნისლიანი ალბიონიდან „შეუღწევია“ კეპს და კუნძულელებს „კოპოლა“ დაურქმევიათ მისთვის, რაც მათებურად „თავსაც“ ნიშნავს და „მოთავესაც“.

არსებობს ლეგენდა, რომ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თბილისშიც იკერებოდა „კოპოლა“. გამორიცხული არ არის, რომ მექუდე იოსებას მიერ ნახსენები „სხვა საქმეზე ჩამოსული კაცი“, ვისგანაც მამამისმა ხელობა ისწავლა, სიცილიელი იყო, რადგან ჰყვებიან, რომ არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის მიერ აგებული ოპერის ერთ-ერთი მომღერალი, სახელად სალვატორე, დიდი ხანძრის შემდეგ, რომელმაც ეს შენობა მთლიანად გაანადგურა, თბილისში დარჩენილა და კეპების კერვისთვის მიუყვია ხელი.

ტორეროს და მწერალი

ფოტო „PLAZA DEL TOROS MONUMENTAL“-ზეა გადაღებული, პამპლონაში. ტიხარის ერთ მხარეს, ქვიშიან არენაზე ლუის მიგელ დომინგინი დგას, მეორე მხარეს ერნესტ ჰემინგუეი... თმაწვერგათეთრებულ „PAPA“-ს ღია ფერის მოკლესახელოებიანი პერანგი აცვია, დომინგინს — ტორეროს ულამაზესი კოსტიუმი, ოქროსა და ვერცხლის ფუნჯებით გაწყობილი „chaquetilla“. მწერალი ორმოცდაათ წელს გადაცილებულია, ბერიკაცს ჰგავს, მატადორი დიდი-დიდი ოცდაათისა იქნება, ჯერ კიდევ ბიჭი.

ზაალ სამადაშვილი

კალამს მიდევნებით დაწერილი

„PAPA“-ს გამბედაობასა და ათასგვარ ფათერაკებში თავის გაყოფაზე, აფრიკაში ნადირობა იქნება თუ ომებში მონაწილეობა, ვინ აღარ ქილიკობს, ვის აღარ შეაქვს ეჭვი მის უბადლო ოსტატობასა და გამოცდილებაში — ჟურნალისტებს, შეუმდგარ ლიტერატორებს, სახელმოხვეჭილ მწერლებს.

არც დომინგინს აკლებენ მწარე-მწარეებს, ვინ გაპატიებს, აბა, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ზარ-ზეიმით სიარულს და ისეთი ქალების მოხიბლვას, როგორებიც ლუჩია ბოზე, რიტა ჰეიუორდი და ავა გარდნერია.

გულდასმით რომ დააკვირდე ფოტოს, ვერ მიხვდები, აღბეჭდვის მომენტში რომელი ლაპარაკობს და რომელი უსმენს. რაღაც მნიშვნელოვანს რომ ეუბნებიან ერთმანეთს, ნაღდია, რადგან სულ ცოტა ხნის შემდეგ მატადორი ხარს, ან ხარებს (პირველი შეტაკების ფინალს გააჩნია) უნდა შეებრძოლოს. ბრძოლის წინ კი რაზე უნდა ილაპარაკონ, ორივემ იცის.

SINE NOBILITI

„ის დროა, მეწაღეები ტროტუარებზე გამოდგმულ ბუდრუგანებში რომ სხედან ფეხსაცმლის მწმენდავებივით. მათაც სტალინის, ჯინა ლოლობრიჯიდას და არსენ მეკოკიშვილის შავ-თეთრი ფოტოები რომ აქვთ გაკრული ზურგებს უკან. დაბალ ტაბურეტებზე სხედან, წინ უდგათ ამ ტაბურეტებზე ოდნავ მაღალი მაგიდები — ძალიან რომ არ მოიხარონ წელში, არღვეულ ლანჩებს აკერებენ მახათის ყუნწში გაყრილი კაპრონის ძაფით და გადაბრეცილ ქუსლებზე რეზინის სქელ საკერებლებს აჭედებენ წვრილი ლურსმნებით. სიგრძისა და და სისქის მიხედვით დახარისხებული ლურსმნები თხელი ფიცრებით შეკრულ, უჯრედებად დაყოფილ თავღია ყუთებში უწყვიათ. ათი-თხუთმეტი უჯრედი აქვს ყუთს და თითოეულში, სულ ცოტა, ორმოცი ლურსმანია მოთავსებული. ჩვენი უბნის მეწაღე შუახნის კაცია, პირქუში, სიცივეშიც და სიცხეშიც უმკლავებო, დათბილულ ჯუბაში გამოწყობილი. ხელის თითებზე სვირინგები აქვს, თითოზე თითო რუსული ასო. ხასიათი მიფუჭდება, როცა მასთან მგზავნიან. თითქოს არაფერი, ერთს ამომხედავს, შენები რომელია, ბიჭოო და პასუხს რომ მოისმენს, თაროსკენ გაიშვერს ხელს, იქ მოძებნეო. პაპისტოლა კაცია და „ბიჭო“-ს ზუსტად ისე მეუბნება, როგორც ვინმეს დამცირებაზე მომართული „ძველი“. შვიდი წლის ღლაპი არა ვარ, რომ მამას შევჩივლო, თოთხმეტისა ვხდები მალე, ცერა და საჩვენებელი თითით ზედა ტუჩს ვისინჯავ წამდაუწუმ — ღინღლი ხომ არ ამომდის. თავის დამშვიდებას ვცდილობ, ბოლობოლო პურის გამყიდველი ხომ არ არის, ყოველდღე რომ მიწევდეს ნახვა, ორ თვეში ერთხელ უნდა ავიტანო როგორმე „ბიჭო“ და ძველ ფეხსაცმელებში ქექვა.

გადის ორი თვე, შეიძლება სამიც. ჩემი უმცროსი დაიკოს სანდლების წამოსაღებად შევდივარ ბუდრუგანაში. ზრდილობას ვასხივებ — ვესალმები, ვუღიმი, ვუხსნი, რა უნდა გამატანოს და როდის დაუტოვეს შესაკეთებლად. ჩემი ჭკუით, თავს ვიზღვევ მოსალოდნელი უკმეხობისგან. ტყუილად ვირჯები, ისევ იგივე მეორდება და შენიშვნაც ემატება, დროზე მოძებნე, კარში ნუ ეჩხირებიო. ვხვდები, რომ ან მშობლებს უნდა ჩავუვარდე მუხლებში და ვთხოვო, აქ აღარ გამომიშვან, ან პასუხი უნდა გავცე ამ კაცს.

იმ წუთას — არაფერი. ვპოულობ ვიღაცების ჯღანების უკან შეჩურთულ გახუნებულ სანდლებს და გავდივარ. მიმაქვს, შინ ვტოვებ, წინკარში. დედას ვეუბნები, მალე მოვალ-მეთქი და უკან ვბრუნდები. თავზე ვადგები მეწაღეს. მაგიდისკენაა დახრილი, რაღაცას აკეთებს. ველოდები, როდის ამომხედავს. თან თითებზე ვაკვირდები, ვცდილობ, ამოვიკითხო რა აწერია. იმდენი რუსული კი ვიცი, რომ ათი ასო სწორად განვალაგო და ორი სიტყვა მივიღო — „закон таига“. ზუსტად ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე, მოფიქრებული მაქვს, რამდენჯერმე დატრიალებულიც კი გონებაში, ნანახ კინოსავით — წინ და უკან. თავს წევს, გაკვირვება ეტყობა. არ ვაცდი გაკვირვების ცივ, დამცინავ მზერაში გადაზრდას. უჯრედებად დაყოფილ, ლურსმნებით სავსე ყუთს მაგიდიდან ვაცლი, მაღლა ვწევ და ვაპირქვავებ. ხრიალით ეცემა იატაკზე და აქეთ-იქით იფანტება რკინის ნაკადი. განრისხებული კაცი „სტამესკისკენ“ — ფეხსაცმლის წამოსაცმელი ლითონის ძელისკენ — იწვდის ხელს და წამოდგომას აპირებს. თვალებს არ ვხრი, ვუყურებ. არ ვიცი, რას კითხულობს ჩემ მზერაში, მაგრამ გაწვდილ ხელს უკან სწევს და შარვალზე ისვამს, ალბათ გაუოფლიანდა და იმშრალებს. ვგრძნობ, რომ რაღაც ძალა იბადება ჩემში, რომელსაც გარეთ გამოღწევა და ასეთი „თავხედობის“ გამაგრება შეუძლია. საქციელის, რომელსაც მოძალადისთვის პასუხის გაცემა ჰქვია. ბუდრუგანას ვტოვებ. ძნელი სათქმელია, რა დროს მოანდომებს გაბნეული ლურსმნების აკრეფას და დახარისხებას თითებდასვირინგებული მეწაღე. მთელ დღეს ალბათ, შესაძლოა მეორის ნაწილსაც, ცოტა ხომ არ არის — ათასამდე იქნება...“

ეს ამბავი პირველ პირში დავწერე, მაგრამ მისი გმირი ნამდვილად არ ვყოფილვარ. როგორც არაერთხელ გამიკეთებია, ახლაც სადღაც, ვიღაცისგან გაგონილი მონოლოგი აღვადგინე და შევეცადე, ოდნავადაც არ დამეზიანებინა თხრობის ქსოვილი ზედმეტი ჩარევით. მხოლოდ „რესტავრაციის“ შემდეგ მივეცი თავს უფლება, ორი რამ განმემარტა. ფრაზა, რომელიც ბიჭუნამ მეწაღის თითებზე ამოიკითხა — „კანონი ტაიგაა“, დასაწყისი გახლავთ რუსი „შავების“ ძველისძველი ანდაზისა, რომელიც ასე გრძელდება — „прокурор медведь“, ანუ „პროკურორი — დათვი“. თავად მეწაღეებს კი, სავარაუდოდ ასეთებს, ორასი წლის წინ „სნობებს“ ეძახდნენ კემბრიჯელი სტუდენტები, რაც ერთგვარი აბრევიატურაა ლათინური სიტყვებისა „SINE NOBILITI“, რაც თავის მხრივ კეთილშობილების არმქონეს ნიშნავს.

თითო რამე

ყველა ამბავი თითო რამეს მაინც უტოვებდა სახსოვრად და ძირითადი შტრიხები მისი პორტრეტისათვის იკვეთებოდა მაშინ:

როცა შორეული ქალაქების სანახავად შინიდან გაპარულს, ბორბლების დაგადუგით მიმავალი მატარებლის ტამბურში პოულობდნენ მილიციონერები;

როცა პირველად კითხულობდა ჯეკ ლონდონის „მექსიკელს“ და ჟიულ ვერნის „თხუთმეტი წლის კაპიტანს“;

როცა ვიღაც პირშავ „ძველთან“ საჩხუბრად გამზადებული, ჯიბეში დანის ჩადებაზე ამბობდა უარს;

როცა სტუდენტობა მხოლოდ იმიტომ სურდა, რომ რუსის ჯარში არ წაეყვანათ ორი წლით;

როცა თელავში, რომელიღაც დუქნის აივანზე სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად გამოსული, გაოგნებული შესცქეროდა შორეულ და თან თავზე წამომდგარ კავკასიონს;

როცა ზამთრის ერთ ყინვიან ღამეს შვილის დაბადებას ელოდა კორტოსზე მდგარ სამშობიაროს ეზოში;

როცა ლუკმაპურის მოსაპოვებლად ცემენტით სავსე ვაგონებს ცლიდა რკინიგზის სადგურებში;

როცა „ცეცხლოვანი სითხით“ ცდილობდა დარდებისგან თავის დაღწევას;

როცა პირველ მოთხრობას წერდა ქართლის ერთ მიყრუებულ სოფელში;

როცა წინა ღამით ნანახ სიზმრებს, წყალს უყვებოდა და „ატანდა“ დილაობით;

როცა უკურნებელი სენით დაავადებულ მეგობარს იკრავდა გულში;

როცა წვრილ ღვედზე ჩამოკონწიალებულ ვერცხლის ჯვარს იკიდებდა მკერდზე;

როცა საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ მისი კუთვნილება უნდა გამხდარიყო სიტყვები — „არასოდეს, არასოდეს, არასოდეს დანებდე“.

ძილისპირული

ძილი რომ არ მეკარება, თვალზე რულის მოსაკიდებლად ტელევიზორს ვრთავ ხოლმე. ეს გვიან ღამით ხდება, როცა თითქმის დაზღვეული ვარ, რომ არ გადავეყრები დუდუს, სულთან ქოსემს და ქალბატონ ვასუნდარას, არ გავიგონებ სიტყვებს — „რელევანტური“, „იმპლემენტაცია“, „ფისკალური“, „კონსესუსი“, „აფილირებული“... ხუთ წუთში ვეძლევი ღრმა ძილს. თუმცა, გამონაკლისებიც ხდება, ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც. ერთხელაც, ინთება ეკრანი და რას ვხედავ, ვინ მეცხადება — ტვიდის პიჯაკში გამოწყობილი სტეინბეკი, ჯონ სტეინბეკი. დგას ეს „ტორტილა-ფლეტი“ კაცი წიგნების კარადასთან და ო’ჰენრიზე ბაასობს. ამბობს, მწერლის ყურებას მისი კითხვა ჯობსო. ფილმის მთხრობელის როლი აქვს მორგებული და უილიამ სიდნი პორტერის (ო’ჰენრის ნამდვილი გვარ-სახელია) ეკრანიზებულ ნოველებს წარადგენს. ხუთჯერ ხუთი წუთი გრძელდება ჩემი სიფხიზლე, რადგან პირველსავე კინონოველაში თავისი საქმის სტეინბეკივით კლასიკოსი ჩარლზ ლოუტონი თამაშობს. ის სოპია, მაწანწალა, რომელიც ყოველი დაზამთრების წინ ნაირ-ნაირი ხრიკებით თავს აპატიმრებინებს პოლიციას, რათა სამი თვე მაძღრად და თბილად გაატაროს ციხეში. ნახევარი წუთით გაელვებულ ლამაზმანს, უკარება ქალბატონის შთაბეჭდილებას რომ ტოვებს და სულაც არ აღმოჩნდება ასეთი — მერილინ მონრო ანსახიერებს. ნოველას „პოლიციელი და ქორალი“ ჰქვია და ასე იწყება: „...როცა ღამეულ ცაზე გარეული ბატების გუნდები გამოჩნდებიან, როცა ქალები, რომლებსაც ბეწვის ქურქები არ აქვთ, მაგრად ეხუტებიან თავიანთ ქმრებს, როცა სოპი წრიალს იწყებს პარკში მდგარ სკამძელზე, ეს იმის მაუწყებელია, რომ ზამთარი მოდგა კარს.“

მაქსიმ პეშკოვი

რუსი მწერალი იყო ეგეთი — მაქსიმ პეშკოვი, უფრო ფსევდონიმით ცნობილი, ცნობილი კი არა, სახელგანთქმული — გორკი, რაც ქართულად მწარეს ნიშნავს. მეცხრამეტე საუკუნეში მაგარი სტარტი აიღო და მაგრადაც მიდიოდა, ტოლსტოი და ჩეხოვი ელაპარაკებოდნენ, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის აკადემიის წევრი გახდა ოცდათოთხმეტი წლის ბიჭი. თავის ბავშვობას, ბოშების ფათერაკიან ცხოვრებას, ლუმპენების თავზარდამცემ ყოფას აღწერდა. თავიდანვე მარქსისტობდა, მაგრამ მერე და მერე მთლად წახდა, ბოლშევიკურ „ლაგერებსა“ და „დიად მშენებლობებს“ დაუწყო ხოტბის შესხმა. „ლაგერი“ კატორღის ნაირსახეობაა, „დიადი მშენებლობა“ — ბელომორ-კანალი, პატიმრების ძვლებით მოფენილი არხი. ჰოდა, ტვინი გვქონდა წაღებული სკოლაში ამ მწარე კაცით, რას აღარ გვასწავლიდნენ მისას რუსულის გაკვეთილებზე — ლექსს, რომანს, მოთხრობას. ლექსს „ბურევესტნიკი“ ერქვა, ჩვენებურად „ქარიშხალა“, ფრინველის სახელი. როგორც დღეს ნაყინს ჰქვია „თოლია“, ეგრე ერქვა იმ ფრინველის სახელი სპორტულ გუნდებსა და სტადიონებს. ოღონდ, თუ პირველ შემთხვევაში ჩეხოვის პიესის, ან რიჩარდ ბახის ბალადის სათაური არაფერ შუაშია, მეორეში გორკის ლექსია მთავარი. „სოციალ-

ისტური რეალიზმის“ ფუძემდებელი რომ არა, რომელსაც უკანასკნელ გზაზე თავად სტალინი მიაცილებდა, ვის გაახსენდებოდა დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში მონავარდე ჩიტი, ზღვისპირეთისთვის თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი რამის მაუწყებელი, როგორიც — ქარიშხალია. თბილისში „გეპეი“-ს საკალათბურთო გუნდს ერქვა ეს სახელი და დღევანდელ „ლოკომოტივის“ სტადიონს. სხვათაშორის, „ლოკომოტივი“ ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და ადგილიდან დამძვრელს ნიშნავს, „მძიმე შემადგენლობის“ შორ გზებზე წამყვანს...

ინდივიდუალისტი

ბავშვობაში სპორტის ინდივიდუალურ სახეობებზე დამატარებდნენ მშობლები.

ჩოგბურთზე, სადაც მოწინააღმდეგის პირისპირ მარტო უნდა ვმდგარიყავი; მე ბარიერის — ბადის ერთ მხარეს, მეტოქე მეორე მხარეს.

ცურვაზე, სადაც ასევე მარტო უნდა გავჯიბრებოდი რამდენიმე — გააჩნია, წყლის რამდენი ბილიკი ჰქონდა აუზს — ჩემხელა ბიჭს.

უკვე წამოზრდილი, მეგობრებთან ერთად დავდიოდი მთაში, ოღონდ იქიდან დაბრუნებულს შთაბეჭდილებებთან ერთად დიდხანს არ მტოვებდა განცდა, რომ მარტო წასვლა უკეთესი იქნებოდა.

ხელობად მოთხრობების წერა ავირჩიე, საშლელიანი ფანქრით ხელში მარტო ვუზივარ ცარიელ, სტრიქონებით შესავსებ ფურცლებს.

გუნდურ თამაშებსა და კოლექტიურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება არასოდეს მხიბლავდა, თუმცა, მიწევდა.

ჩემმა ინდივიდუალისტურმა მიდრეკილებებმა სიბერეში სახე იცვალა. ვნატრობ, რომ მზარეული ვიყო და დამხმარეებად შვილიშვილები მყავდეს. გვქონდეს დიდი, დახურულძარიანი მანქანა, აღჭურვილი ქურით, ღუმელითა და მაცივრით. გადავდიოდეთ ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში და მოშიებულ ბავშვებს, ქალებსა და კაცებს ჩვენი ნახელავი ყუათიანი საკვებით ვუმასპინძლდებოდეთ. აი, ისე, როგორც ერთ ამერიკულ ფილმშია — მამა-შვილი შესაშური ოსტატობით რომ ამზადებს კუბურ სენდვიჩებს და მათ „ბორბლებიან სამზარეულოსთან“ უამრავი ხალხი რომ იკრიბება ყველგან, სადაც ჩერდებიან, გემრიელობებით ცნობილ ახალ ორლეანშიც კი.

შვილიშვილები ინდივიდუალიზმს არ ზღუდავენ — პირიქით, მოვწონვართ როგორებიც ვართ და გვათამამებენ.

გრანტერი

ბოლო დროს სულ ჟან ვალჟანი და გავროში მაკერია პირზე, არადა, „საბრალონი“ ბევრი მაგარი პერსონაჟით არის დასახლებული. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ გრანტერი, სტუდენტი, გონებამახვილი სკეპტიკოსი, ფარიკაობისა და კრივის კარგი მცოდნე, გამოუსწორებელი ლოთი. 1832 წლის ზაფხულია, პარიზის ქუჩებში ბარიკადებს აგებენ, იწყება სისხლისმღვრელი შეტაკებები ამბოხებულებსა და ჯარს შორის. გამობრუჟვისადმი დაუოკებელი ლტოლვის, უდროო დროს გამოთრობის გამო მეამბოხეთა წინამძღოლისგან მწარე სიტყვების მოსმენა უწევს გრანტერს — „არ ვარგიხარ, არც რწმენა გაქვს, არც სურვილი, არც ცხოვრება შეგიძლია და არც სიკვდილი“; რასაც ის ნაღვლიანად პასუხობს — „მაგასაც ვნახავთ“ და ღვინით, პორტერით და აბსენტით დამძიმებული მაგიდაზე დებს თავს და ძილს ეძლევა სამიკიტნო „კორინთოში“. ლეთარგიული მდგომარეობიდან, რომელსაც ბრძოლების ხმაც კი ვერაფერს უხერხებს, სიჩუმეს გამოჰყავს. საკმაო დროა გასული, ლამის ერთი დღე, აჯანყება ჩახშობილია, ბარიკადების დამცველები განგმირულები. ჯარისკაცები სამიკიტნოში არიან შემოჭრილები და თოფებმომარჯვებულები მეამბოხეთა წინამძღოლის დასახვრეტად ემზადებიან. გრანტერს ვერავინ ამჩნევს, რადგან მთელი ყურადღება კედელთან მდგარი ახალგაზრდა კაცისკენ არის გადატანილი. მას ანჟოლრასი ჰქვია. რესპუბლიკას გაუმარჯოსო, ყვირის ახლადგამოღვიძებული გრანტერი და სასიკვდილოდ განწირულის გვერდით დგება. ერთად დაგვხვრიტეთო, მიმართავს ჯარისკაცებს და მეგობარს ეკითხება, ნებას მაძლევო? ის უღიმის და ხელს ართმევს.

P.S. კუნდერა კიდევ ჰიუგოს თანამემამულე ინტელექტუალებს უბრაზდება, რატომ ამბობთ, რომ წიგნებს შორის, რომლებმაც საფრანგეთი შექმნეს, „საბრალონი“ პირველიაო.

პრუსტის კითხვარი

მგონი, „პრუსტის კითხვარს“ გავეცი პასუხები. რამდენიმე მათგანი ძველ ბლოკნოტში აღმოვაჩინე, ეტყობა ისინი მივიჩნიე სხვებთან შედარებით საინტერესოდ.

სად ისურვებდით ცხოვრებას? — გზაჯვარედინზე, სადაც ოთხივ კუთხით გზა ხსნილია და სადაც ბლუზის მომღერალ მაგარ ბიჭებს უყვართ თავშეყრა ტუჩის გარმონებში ჩასაბერად და გიტარა-ბანჯოების ასალაპარაკებლად.

რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში? — ჩემი აზრით, მეგობრობა მსოფლმხედველობრივ თანხვედრებზეა დაფუძნებული. ადრე თუ გვიან აუცილებლად გაცივდება ურთიერთობა ადამიანთან, ვისთან ერთადაც „ten years after“- ს და „led zeppelin“-ს უსმენდი ბავშვობაში, შემდეგ კი მისი შავრაზმული აზრების ყურისგდებამ მოგიწია.

თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე? — ბედნიერება არ უნდა გვეგონოს გრანდიოზული სიხარულისა და ასეთივე კმაყოფილების ფოიერვერკი, რომელიც დიდხანს გრძელდება. ის დროის უმცირეს მონაკვეთებში ახერხებს ჩატევას და მისი აღმოჩენა არც ისე იოლია. აღმოჩენას რაც შეეხება, ეს ნიჭი გახლავთ, რომლითაც ან ჯილდოვდება ადამიანი, ან — არა.

საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები? — ბრეტ ეშლი, პატრის ჰოლმანი, ჯინ-ლუიზა ფინჩი, მეტსახელად „ჭყიტა“.

რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად? — კოლაბორაციონიზმს.

თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა? — უმეცართა, ფარისეველთა და უტიფართა გარემოცვაში ყოფნა.

როგორი გინდათ, რომ გარდაიცვალოთ? — ონავრულად გიპასუხებთ: „მე ბარემ ბევრი რამე მინდა, მაგრამ ეგრე სად არის?“

კოლაბორაციონისტი

ნებისმიერი ეროვნების აშკარა ან შეფარულ კოლაბორაციონისტ ლიტერატორს უნდა ახსოვდეს, რომ სულ მცირე, „მისტერიების“ და „შიმშილის“ ავტორი უნდა იყოს, კარგი მწერლების სიას რომ შემორჩეს.

სხვამხრივ თუ გაუმართლებს, შესაძლოა რომელიმე მაგარი რომანისტის ვრცელ ტექსტში ამოყოს თავი. მთავარი გმირი იქნება, თუ მეორე რიგისა, სახელს შეუცვლიან თუ საკუთარი ვინაობით იმოძრავებს მკითხველის წარმოსახვაში, ცხადია ავტორზეა დამოკიდებული, თუმცა დაცემის თვალჩაუწვდენლობაც განსაზღვრავს პერსონაჟის ადგილს.

მარიამ წიკლაური

მირიანი

ARAფერი უნდოდა, მაგრამ ის, რაც უნდოდა, არაფერზე ბევრად მეტი იყო და არსად იყო.

ცხოვრება უნდოდა.

სულელს რატომ ეძახდნენ, ვერ ხვდებოდა.

აღარაა მაგის დროო.

მათთვის თუ გათავდა, მისთვის იყო, და, რა ექნა?!

ცოცხლად, ნერვით, სურნელით, ფერით, ხელშესახებად და თვალნათლივ გრძნობდა, რომ ის იყო, სწორედ ის და ისეთი, რაც უნდა ეცხოვრა.

რა ექნა, სხვა თუ ვერ ამჩნევდა?!

ის ხედავდა, სამაგიეროდ.

არსად გასულიყო დრო.

იდგა ჩაგუბებული, ჩაყურსული.

ჩათაფლულიო, რომ ეთქვა, მაშინ იქნებოდა სულელი.

უფრო გეშნაკრავი ცხოველივით გასუსუსული, განაბული და გაშეშებული ერქვა ამ დროს.

ვერ გაეგო, რატომ ამტკიცებდნენ სხვები, სწრაფად გადისო.

გადისო კი არა და ისე ასწრაფდა, დღისას ვერ ვასწრებთ კვირაშიო.

ზოგს, უფრო ჭკვიანს, ათონის მთის მაგალითი მოჰყავდა, ერთ ბერს რომ ორჯერ მეტი ზეთის ჩასხმა უწევდა კანდელში უნინდელზე... ყური მოეკრათ და იმეორებდნენ ეს სულელები, თორემ ან ათონის მთისა რა იცოდნენ, ან ბერისა ამ უღმერთოებმა.

სულელს რომ ეძახდნენ მას.

არადა, მართლა სულელი უნდა იყო, რომ დრო ასწრაფებული მოგეჩვენოს.

ვერაფერს ხვდებიან...

საბრალოები...

სინადვილეში, სულ პირიქით, სულ უკან, სულ თავისი თავის დასაწყისისკენ...

ადამიანები გარბიან სიხარბის გამო წინ, თორემ ეს საბრალო სულ უკან და უკან იხევს მაგათგან შეშინებული.

სულ უფრო იკუნტება, იჭიმება, იკუმშება, სულ უფრო და უფრო.

ეშველებოდა განა რამე?

ჰოდა, ამაზე ფიქრისგან დაუძლურდა...

სულელს კი ეძახდნენ. ასე ხომ გაცილებით ადვილია, განსხვავებულის რისხვა აიცდინო, ათასი აზრი აისხლიტო, რაზეც ფიქრი გეძნელება და პასუხიც არ გაქვს.

ის თოკიც, ხარის ტყავის ნაკუწებისაგან რომ დაწნა, უფრო გამძლეა და დაიჭერს.

აბა, ის გვარლი რას ეყოფოდა?

ხმელი ბალახი და ზროს ანაფცქვენი გაუძლებდა ამ დაბნეულს და შეშლილს, ამას?

„ახლა უფრო დავიჭერ, ისე მოვქაჩო, ვერსად გაიქცეს, აბა, გაიწიოს ერთი, გაიწიოს! სადამდე, იმასაც ვნახავ?!“

სულელს მე მეძახიან, მაგრამ ავიტანე მაგათ დაცინვას... კაცი მაგარი უნდა იყო. ხანდახან სიგიჟეც დაიბრალო, რა მოხდა, მერე?! არყის დალევას დამიშლიან თუ ხინკლის წვენის შეხვრეპას?! სუ მაგათ არ შევეკითხები?! მოიცა, რა ამბავიც ვქნა ქორწილში.

გამოადგი ფეხი, გამომყე, ჰოოოო, ფრუუუ, ფრუუუ“.

ტყავის დაგრეხილი თოკი მთის ფერდზე გადმოკიდებულ პატარა კოწახურის წითლად მღუარ ბუჩქს წამოსდებიყო.

ქაჩა და ქაჩა. სისხლიც დასდინდა გრძელი თითებიდან, ვერაფერს გახდა, წინ ბიჯიც ვერ წადგა.

ეს თოკში შებმული და დიდრონი შეშინებულთვალებიანიც რო არ მოჰყვებოდა?

იწვალა, ბევრი იწვალა, სიბრაზისგან უფრო და უფრო ხელდებოდა, სიწითლე გადაეკრა მთელ სახეზე.

— ამის დედაც, ეს ვინა ყოფილა, რა ეკალი დაგისხია ტანზე, შლეგო შენა.

გაიოფლა, ხან ქვევიდან მოუარა ბუჩქს, ხან ფეხი დაუსხლტა და მიწას დაასკდა, ცოტაც დააკლდა, ფერდზე არ ჩაცურებულიყო.

სველი იყო ბალახი და ფეხს ადვილად ვერ იკიდებდა სავალზე.

თოკი კი უფრო და უფრო იბარდებოდა ეკლიან ტოტებში.

ბევრი იწვალა, გაიოფლა, სისხლი სიბრაზისაგან საფეთქლებში ურტყამდა.

როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს გამოანთავისუფლა ბუჩქში გახლართული თოკის ბოლო.

გააგრძელა გზა დაღლილმა, გასავათებულმა.

გამარჯვებულის ჟინით ერთი კი მოუხედა უკან წითელ კოწახურს და შეუკურთხა.

ის კი მოჰყვებოდა უხმოდ, მორჩილად, ან სად გამქცევი იყო. მისი იყო, კუთვნილი და შინაური

— გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს, — გაეპასუხა კუშტი სახით თანასოფლელს. კი ვერ იცნო, მაგრამ იცოდა, სადღაც აქვე მის სოფელში ცხოვრობდა ეს კაცი. სახელს ვერაფრით გაიხსენებდა. ან რად უნდოდა სახელი.

— საით მისდიხარ, საით მიგყავს ეგ ოხერი, ეგა?

— რათაა ოხერი, რა დაგიშავა? არ გეტყვი, საითკენ მივალთ.

— არ მეტყვი და კარგად მენახე, ნუ მეტყვი, ატარე ეგრე, მე რა მენაღვლება, გიჟი თავისუფალია.

კოპებშეყრილმა ერთი შუბლსქვემოდან ამოხედა შემხვედრს და გზა განაგრძო, თოკი ნება-ნებაზე მოსთრევდა უკან და სველ ბალახზე ლოკოკინასავით ტოვებდა კვალს.

მთელი დღე უნდა ევლო კაცს, მთელი ღამეც, რომ მერე უკან სახლში მიბრუნებულს ჰგონებოდა, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა დედამიწაზე...

არადა რამდენჯერ ხან ცირცელის აწითლებულ ხეებში გაეხლართებოდა ისევ თოკი, ხან თრიმლის ბუჩქებში, ხან გაბარჯულ ველურ თხილიანებში... რომელი თოკი გაუძლებდა ამდენ თრევას ტყე-ღრეში, დარსა თუ ავდარში. ხან რას წამოედებოდა და ხან რას.

წვალობდა, ბევრს წვალობდა, მაგრამ ბოლოს მაინც აუცილებლად გამოხსნიდა და შვებით ამოისუნთქავდა, გზას გარგძელებდა, მოუხედავდა უკან და ისევ ლაპარაკ-ლაპარაკით თავაღერილს ეგონა, რომ ის უსმენდა და ყველაფერზე სცემდა პასუხს.

მარტო კი არ უსმენდა, თანაუგრძნობდა კიდეც, ესმოდა, რა ცეცხლი და რა ტკივილი ედგა მირიანს გულში.

მირიანი.

რამდენი ხანია, აღარვის დაუძახია მისთვის ეს სახელი, ყველა გიჟს ეძახდა.

გიჟს ან სულელს.

მას კი ახსოვდა, რომ მირიანი ერქვა. იმასაც ახსოვდა, ვინც თოკზე ჰყავდა გამობმული და დაატარებდა – თავის წილ დროს, თავის დროს...

ერთხელ გადაწყვიტა, ხატში მივიყვან და დავტოვებ...

ხატისკარზე იყოსო, რაც ხატისააო... ადამიანის არაა ეს დროოო...

„გიჟი ეძახეო,“ — თანასოფლელებმა, მირიანის გადაწყვეტილება რომ შეიტყვეს.

მიიყვანა კიდეც, დიდ კვირიას მიაბარა, დაიხელთაო და შენ თუ ჩაუდგამ გონსო, თუ არადა იმსახურე, როგორც გინდოდესო.

წამოვიდა თვითონ.

მიდიოდა ჯერ მსუბუქად, მერე თანდათან დაუმძიმდა ნაბიჯი, მერე ძლივსღა მილასლასებდა გზაზე.

რა უყავ შენი თოკიო?

ხან ვინ ჰკითხავდა, ხან ვინ...

მეორე დღეს თუ ეგებ და მესამე-მეოთხე დღეს ისევ იმ თოკით იპოვეს... ახლა უკვე თოკს ეჭირა იგი ხატისკარის ახლოს დიდ მუხაზე.

დრო სხვებსაც ასე ახრჩობს, გინდ შენ წილად დაიგულე, გინდ თვალს ნუ გაუსწორებ და სულ ნუ იტყვი, ჩემიაო...

ასე მოითავა მირიანიც...



წმაწურები და უწმაწურები

პაატა ნაცვლიშვილი

* * *

ორი ბიჭი შედიოდა ვენის ტყეში ცუზამენ[1]...
მთელმა ვენამ კარგად იცის, ერთურთს რასაც უზამენ!

[1] Zusammen (გერმ.) – ერთად.

თავგოლორითმიანი მრჩოგლედი იუმორის არმქონე მამაკაცზე, რომელსაც იუმორის მქონე პარტნიორი უთხოვდება

საქალწულე აპკისათვის სკოჩს დავეძებ ყველგანო, –
„საქორწილოდ სხვა საჩუქარს ამ მივიღებ შენგანო!“

* * *

არ შეგიპყროს ურვამ,
თუ არ მოგცა კურვამ.

რა პასუხი მივიღე შეკითხვაზე: „დღიურებს წერ, ძვირფასო?“

რაღა დროს ჩემი დღიურია!
რაღა დროს ჩემი თვიურია!

ტოტალიზატორში წაგების შემდეგ

ფრა ფილიპო ლიპისა და მარჩელო ლიპის

რას მიირთმევ, ფრა ფილიპო,
რას მიირთმევ, ფრა!
პასტა გინდა, სპაგეტი თუ
კარტოფილი ფრი?!

რას გვიპირებ, ეს შიშები
გაგვიარაფრე...
მოიგე თუ წააგე თუ
რა შედეგი? ფრე!

არამია შენზე ჩვენი
კარტოფილი ფრი...
აფრინდი და დაფრინდი და
დაგვაფრინდი. ფრი!

რიტუალეტი

წიგნისთვის „კენტავრები“

არის ცალკე რიტუალი,
ცალკე არის ტუალეტი,
ხოლო იქ რომ წიგნს კითხულობ,
არის რიტუალეტი.

ბლა(დ)-ბლა(დ)-ბლა(დ)

გიმეტებენ წამები გასაწამებლად...
ბლად...
ბლად...
ბლად...
დაგაცხრება სიკვდილი გაუფრთხილებლად!
ბლად...
ბლად...
ბლად...

სისხლი წვეთავს ცისფერი... кровь капает... blood…
ბლად...
ბლად...
ბლად...

ნუ ედრები ოდისევსს, კაპიტანო ბლად!
ბლად...
ბლად...
ბლად...

ბელადებს და ბლიადებს – ერთნაირად... ბლად!
ბლად...
ბლად...
ბლად...

გინდ უტიფრად მოიქცნენ, გინდა – თავმდაბლად...
ბლად...
ბლად...
ბლად...

ალუბალი-საკურა გადიქცევა ბლად.
ბლად...
ბლად...
ბლად...

ბლის კურკების ტყემლიდან ჩასაფურთხებლად...
ბლად...
ბლად...
ბლად...

მიიწვევენ ფარშევანგს გუნდში მგალობლად!
ბლად...
ბლად...
ბლად...

მოსახდენი მოხდება აუცილებლად!
ბლად...
ბლად...
ბლად...

მომწვანო ლექსი

გაუფრთხილდეს ყველა მხეცი უნდა თავის ტყავს,
როცა ხედავს — მონადირე ეგერს როგორ თნავს!

არაფერი ეშველებათ ცხოველებს და ტყეს,
თუკი ბრაკონიერებმა ეგერები თნეს!

რეკეტი

ვიოლინოს ფუტლარებში ელაგათ აბრეზები,
მე მეგონა, ბრძანდებოდნენ ქუჩის მუსიკოსები,
თითქოს ჩემი ვინმე იყო, მომვარდნენ გაბრაზებით:
ტრუსიკები მოგვეციო დროზე რუსიკოსები!

ფერადი გაუგებრობა

თვალებსა გჭრის ელვარება
ოქროსი და ვერცხლის,
ვერაფერი გაგიგია
ვერც მუცლის და ვერც ხლის!

* * *

ბორჯომ-ბაკურიანის თოვლში მიჰქრის კუკუშკა,
მაგონდება მესნერი, მახსენდება კუკუჩკა,
უკან მოგვდევს გუგული, რუსეთულად — კუკუშკა,
უცებ ჩამოგვასკლინტა, თავზე გვიქნა კაკაშკა...

ამ დროს წყალზე წასული ჩვენი კაი კოკა ჩკა!

მშვიდობისმოყვარეთა დაგინება გამალებული შეიარაღებისას წინა საუკუნის 80-იან წლებში

მეტ რაკეტებს ვინც აკეთებს, დაე იყოს... მეტ რაკეტებს ვინც აკეთებს, დაე იყოს... მეტ რაკეტებს ვინც აკეთებს, დაე იყოს... მეტ რაკეტებს ვინც აკეთებს, დაე იყოს... მეტ რაკეტებს ვინც აკეთებს, დაე იყოს... მეტ რაკეტებს ვინც აკეთებს, დაე იყოს... მეტ რაკეტებს ვინც აკეთებს, დაე იყოს... მეტ რეკეტებს ვინც აკეთებს, დაე იყოს... მეტ რა-კეტებს ვინც აკეთებს, დაე იყოს... მეტ რაკეტებს ვინც აკეთებს, დაე იყოს...
.....
და ასე შემდეგ სრულ განიარაღებამდე!

უცენზურო, მაგრამ ცეზურიან ლექსთათვის

ლექსს რად უნდა ცენზურა,
მარკები აქციზური!
ცალფაა თუ ციზური,
ლექსს სჭირდება ცეზურა!

* * *

თეთრი ცა და ლურჯი ცა და რუხი ცა და შავი ცა,
სულ ერთ ქვაბში იხარშება ცისფერიც და შავიცა,
იმედების მომცემიც და მათი ჩამფუშავიცა,
გამაერთიანებელიც, დასტურ გამთიშავიცა.

ერთად ძოვენ წითელიც და თეთრიცა და შავიცა
აფხაზეთიც, ხევსურეთიც, ოსეთიც და ფშავიცა,
ელიცინიც და გორბაჩოვიც, ზვიადიც და შევიცა...
ცოტაც უნდა შევიცადოთ, შევიცადოთ, შევიცა...

ვინც აქ რითმა დამიწუნოს, იმის... მტერსაც... რა ვიცი!

შესაკრებთა პარტიული განადაცვლება

ანარქისტები
ქნარისტებია,

დემოკრატები —
დემოტრაკები,

ლიბერალები —
აბერილლები,

ლეიბორისტები —
ლობსტერიიები,

კონსერვატორები —
ტრაკონსევორები,

მონარქისტები —
სქირომანტები.

ქუჩის აქციის უღლება გამქცევ-დამრჩომთათვის

მაქციად მაქცია.
გამქციად გაქცია.
აქციად აქცია.

კაიფი-11

პლანის პლანი[1]
პლანის პლონი[2]
პლანის პლენი[3]
პლანის პლინი[4]
პლანის პლანი[5]

1. იგულისხმება ვენახის პლანი (რიგი).
2. ძველებრაული ტექსტების ფიქციური პერსონაჟი.
3. ტყვე (რუს.).
4. სკვითების ბიბლიური მეფე.
5. გეგმა (რუს.).

კაიფი-13

ქალაქური ფოლკლორიდან

მარიხუანა?
მარიხუინა!

რა უამგო ეგვიპტითგან რომს დაბრუნებულმა კეისარმა თავის მეგობრებს

კლეოპატრამ
კლე მომპატრა.

* * *

პოეტესას მეინსტრიმულს
სჭირდა მეინსტრუაცია.

ხოლო მარგინალური
იყო ვარგინალური!

* * *

ვეძებ ჟიულ რიმეებს, ვეძებ ჟიულ ვერნებს,
ვინაც ვერნი არ არის, ყველა მიგოთვერნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

უნდა აქნა ასო-ასო,
უნდა უქნა, უნდა ასო
ის მთავარი სამი ასო,
შენი საქმის დიდი ასო!

* * *

წამოიწყო ატაკა,
ატაკა და ატაკა!

ღარიბი კაცი მაღრიბში

როცა ჩახვალ მაროკოში,
უნდა ნახო მარაქეში,
მერე უნდა გაერიო
მარაქეშის მარაქაში.

კამათლები უნდა ყარო,
მერე წილი, მერე ქოში.
მასტერკარდი უნდა ხარჯო,
მერე ვიზა, მერე — ქეში!

ზეინაბს და ფატმან-ხათუნს
თუ ვერ გაცვლი მარიკაში,
ჯიბეს ფული თუ არ გქონდა,
რა გინდოდა მაროკოში!

* * *

ზეინაბა
გეინაბა.

ვივა აკადემია

რიმეიქი

ერთი ქულა მოყვარულს,
ხოლო პროფის — ორი...
ვივა აკადემია,
ვივა პროფესორე!

გაუდე იმას!
გაუდე ამას!
გაუდეამუს!
გაუდეამუს!

გაუგე იმას!
გაუგე ამას!
გაუგე სმას და
გაუგე ჭამას!

ტაძარს აშენებს
გაუდი ამოს,
გვერდით ჩაუვლის
აუდი ამას.

გაუდეამუს!
გაუდეამუს!
გაუდე იმას!
გაუდე ამას!

ვივა აკადემია,
ვივა პროფესორე!
სორე აკადემია?!
სორე პროფი, სორე?!

პარადოქსი

უფრორე ცელქები
არიან ცელკები.

არაქს ვაყოლეგდეთ ხამსას

ახლა ჩვენი უარყობა
არის ღმერთის უარყოფა...
ახლა ჩვენი უხამსობა
არის ნაღდი უხამსობა!

აიშე ანუ სააქტო დარბაზი-2

წიგნისთვის „აუდიოვიზუალური პოეზია“

აიშე, აქ მე!
აქ შენ, აიშე!
აიშე, აქ შენ!
აქ მე, აიშე!
აიშე, საქმე!
აქშენ, აიშე!
აიშე, აქშენ!
საქმე, აიშე!
აიშე, საქმე!

აიშე, action!
აიშე, აქ მე!
აიშე, აქ შენ!

Action, აიშე!
აიშე, საქმე!
აქ მე, აიშე!
აიშე, აქ შენ!
აიშე, action!
აიშე, საქმე!
აიშე, საქმე!
აიშე, საქმე!
აიშე, action!
აიშე, action!
აიშე, აქშენ!
აიშე, action!

აქშენ, აიშე!
Action, აიშე!
აქშენ, აიშე!
Action, აიშე!
აქშენ, აიშე!
Action, აიშე!
აქშენ, აიშე!
Action, აიშე!
აქშენ, აიშე!
აქშენ, აიშე!
აქშენ, აიშე!
აქშენ, აიშე!
აქშენ, აიშე!
აიშვი, აიშე!
აქშენ, აიშე!
აიშვი, აიშე!
აქშენ, აიშე!
აიშვი, აიშე!
აქშენ, აიშე!
აიშვი, აიშე!
აქშენ, აიშე!
აიშვი, აიშე!
აქშენ, აიშე!
აიშვი, აიშე!

აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!
აი, შენ, აიშე!

აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!
აი-შენ, აიშე!

აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ, აიშე!
აიშენ-აიშე!
აიშენ-აიშე!
აიშენ-აიშე!
აიშენ-აიშე!
აიშენ-აიშე!
აიშენ-აიშე!
აიშენ-აიშე!
აიშენ-აიშე!
აიშენ-აიშე!
აიშენ-აიშე!
აიშენ-აიშე!
აიშენ-აიშე!

აიშენაიშე!
აიშენაიშე!
აიშენაიშე!

აიშენაიშე!
აიშენაიშე!
აიშენაიშე!
აიშენაიშე!
აიშენაიშე!
აიშენაიშე!
აიშენაიშე!

აშენაიშე!
აშენაიშე!
აშენაიშე!
აშენაიშე!
აშენაიშე!
აშენაიშე!
აშენაიშე!
აშენაიშე!
აშენაიშე!
აშენაიშე!
აშენაიშე!
აშენაიშე!
აშენაიშე!

აშენაშე!
აშენაშე!
აშენაშე!
აშენაშე!
აშენაშე!
აშენაშე!

აშენაშე!
აშენაშე!
აშენაშე!
აშენაშე!
აშენაშე!
აშენაშე!

აშნაშე!
აშნაშე!
აშნაშე!
აშნაშე!
აშნაშე!
აშნაშე!
აშნაშე!
აშნაშე!
აშნაშე!
აშნაშე!
აშნაშე!
აშნაშე!
აშნაშე!

აშაშე!
აშაშე!
აშაშე!
აშაშე!
აშაშე!
აშაშე!
აშაშე!
აშაშე!
აშაშე!
აშაშე!
აშაშე!
აშაშე!
აშაშე!

აშშე!
აშშე!
აშშე!
აშშე!
აშშე!
აშშე!
აშშე!
აშშე!
აშშე!
აშშე!
აშშე!
აშშე!
აშშე!

აშშ!
აშშ!
აშშ!
აშშ!
აშშ!
აშშ!
აშშ!
აშშ!
აშშ!
აშშ!
აშშ!

ააააააშშშშშშშშ
ააააააშშშშშშშშ
ააააააშშშშშშშშ
ააააააშშშშშშშშ

ააააააშშშშშშშშ
ააააააშშშშშშშშ
ააააააშშშშშშშშ
ააააააშშშშშშშშ
ააააააშშშშშშშშ
ააააააშშშშშშშშ
ააააააშშშშშშშშ
ააააააშშშშშშშშ
ააააააშშშშშშშშ
ააააააააااا
ااااااااا
ااااااا
ااااا
ااا
اا
ا
ااااااااششششششش

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა ნაცვლიშვილი

წმაწურები და უწმაწურები

ბავშვობისდროინდელი

სიზმრის გასწვრივ მორიგეობს ზნეობრივი პოლიცია,
სანმარკოზე მდგარი სვეტი ჩემი შუა პალეცია,
სიზმრის ბოლოს რომ გამოჩნდა, სიყვარულის პალაცოა,
მე იქამდე ვინ მიმიშვებს — გამაღვიძებს პოლუცია!

* * *
— ამ პატრა ბიჭს პატრა გოგო,
მითხარ, ხომ არ დაკარგვია?!
— დაკარგვია. უპოვნია. უკოცნია... რა კარგია!

მუშტების ქნევა ჩხუბის შემდეგ

მე შაირი არ მსურდა, თვითონ ასე ინება,
მე არ მიგინებია, მან მაკადრა გინება,
სანამ პასუხს არ გავცემ, როგორ დამეძინება:
მის უკანში მენახოს ის, რაც მის ვირს წინ ება!

* * *
წყლის ძალა მოგცეს ბუნებამ
(გამოაკელი „წ")!..
მე არ მემაიმუნება,
No! არა! და ნწ!

სარეკლამო ტექსტი „სიკოსათვის"

პატარა როგორ განდოს,
თუ არ იკეთებ... პრეზერვატივს!

სიყმაწვილისდროინდელი

გინდ რიგითი ბერი იყო, გინდა იყო კარდინალი,
არ იქნება, არ აღელდე, როცა მოდის კარდინალე[1],
არ იქნება, არ დასძლიო დაბრკოლება კარდონული,
როცა აუდ-ჩამოუდის ვნებიანი მკერდი ნელა.

1. იგულისხმება კლაუდია კარდინალე

* * *
აფრიალდა ტრიკოლორი, ტრიკოლორი, ტრიკო...
ჩაფრიალდა ყვავილებით მოჩითული ტრიკო...
ასხმარტალდა ამ ტრიკოდან თავდახსნილი ტრაკი...
შენ დაუკა! სექსოდრომზე ყალყზე დგება ტრეკი!

უბრჯგუ
რიმეიქი კინოდან გამოსვლის შემდეგ

ერთი ნახუით შეყუარება...

* * *
დაავიწყდა საქონელი, რო ჩაწვა და უწევს,
მშობიარე ცოლი ჟორას დღეს დილიდან უწევს,
ფეხებს უწევს მას ექთანი, მერე პერანგს უწევს,
ორიოდე თითზე გახსნილ საშოს მაშით უწევს,

არ ელოდნენ, მელოგინეს უცებ სიცხეს უწევს,
პირმშოს ქვეყნად მოვლინება იანვარში უწევს,
ვერ ჩერდება დედამისში, გული გარეთ უწევს,
ქალი ტირის, ყვირის, კივის, ხმას თანდათან უწევს,

ცხრა უღელი ხარ-კამეჩი მეხრეს ლაფში უწევს,
ჟორა დგას და მეჯვარეებს სიგარეტებს უწევს.

* * *
გინდ კედელი აცა-ბაცა, გინდა ოკრო-ბოკრო პოლი,
გინდა ათენელი იყავ, გინდა იყავ ოკრიბელი,
გინდ ააგე ციცქნა ოდა, გინდ ააგე აკროპოლი...
არ ვარგიხარ შენ მშენებლად – ტრაკში უნდა იკრა პალო!

შიდსის საშიშროება

(შე)ყოფა — არ(შე)ყოფა...
საკითხავი აი, ეს არის!

პარტიზან მეგაღეთა (მხარ)დასაჭერად

დიმპიტაური — დამპიტაური!
დიმპითნაური — დამპითნაური!

ნუცა

ნეტა სხვას რამდენს მიეღლაბუცა,
ნეტა რამდენჯერ?
ნუცა...

მიეჟღურტულა, მიეკეკლუცა,
მიეჭიკჭიკა...
ნუცა...

მიეხმატკბილა, მიეხუნტრუცა,
მიესხეულა...
ნუცა...

აბდალი იყავ, გინდ ქარაქუცა,
მაინც მიხვდები...
ნუცა...

იცი, ვის როგორ მიელაქუცა,
ვის როდის მისცა...
ნუცა...

არსენა იყავ, გინდა ქაქუცა,
მაინც გაგყიდვენ...
ნუცა...

ნეტა რამდენჯერ იტკაცატკუცა,
ნუცა...
ნუცა და
ნუცა!

ჰოი, რა ფუჭად იფაციფუცა,
ჰოი, რა ფუჭად...
ნუცა...

ნუცა დაუფენთ ღორთა მარგალიტს...
ნუცა დაუფენთ!
ნუცა!..

შეგონება

ბოკაჩომ გითხრა, მეც გეტყვი, ყური დამიგდე, იმანო:
ჯობია ქნა და ინანო, ვიდრე არ ქნა და ინანო!

ევფემიზმების გამო

საპასუხოდ პურიტანთა,
მათთა ყურთა გასახედნად:
ჩემთვის ვირი ვირად დარჩა,
ვერაფრით ვერ გასახედრდა!

რატი ქართველიშვილი

* * *
ადამიანი,
რომელსაც შესწევს უნარი,
მოგონებებით გააცოცხლოს ყოველი წვრილმანი
განვლილი ცხოვრებიდან და ხელმეორედ,
ძველებური სიმწვავით განიცადოს ყოველივე ის,
რაც უწინ ათრთოლებდა მის სულს.
ცამეტი წელი...
ოცი..
ოცდაათი...
ო, ეს არ არის სიშორე მისთვის
მაგრამ, ეს გრძნობა ყველაზე დიდი მტერია მისი.
რატომ? — ასეთ ადამიანს ყოველთვის უფრო
მეტად უყვარს საგანი
მას შემდეგ, რაც მას დაკარგავს.
გული ივსება მოგონებებით, გული კი ერთია...
ხოლო, ტალღებმა თუ მოგაშორეს
დღევანდელი დღის ნაპირს, —
ცხოვრება არარაა...
ადიხართ კიბეზე, აღებთ კარს, შედიხართ ოთახში...
თქვენს ოთახში სიჩუმე და სიცივეა...
და თქვენ თქვენი ბინა გეჩვენებათ
სააქაოსა და საიქიოს შუასამყაროდ.
ჯდებით სარკესთან, ჩამქრალი ბუხრის წინ,
იღებთ ჰამსუნის „ვიქტორიას"
(სიყვარული... ეს ანემონაა,
რომელიც კვდება ხელის შეხებით).
სიყვარული... მას შეუძლია დაღუპოს ადამიანი,
მას შეუძლია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე
შეპყრობილივით ეჭიროს შენი გული...
ძვირფასო, მე გავჩნდი ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ,
რომ შენ მყვარებოდი
და შემდეგ ისევ დავმშვიდობებოდი სიცოცხლეს.
მოვა გაზაფხული, რომელსაც მე უკვე
ვეღარ დავინახავ,
ხეები ბაღში კი დარჩებიან ჩემს შემდეგაც...
აღებთ ყუთს...
საიდუმლო წერილების კონა...
პირველი, რაც თქვენ გეცემათ, ეს —
სპეციფიკური სუნი საიდუმლოების
და ვარდის გამხმარი ფურცლებისა.
ოთახი სავსეა წარსულის ლანდებით,
თვალები — სინანულით.
მიდიხართ სარკმელთან, იქიდან კი გიყურებთ
გვიანი შემოდგომის წვიმიანი დღე.
რა ხდება ამ დროს თქვენს გულში?..
ო, ნუ იტყვით, არა, ამას უკეთ მეტყვის
ნოემბრის ყვითელი ბაღები და
შემოდგომის დაქანცული გაზონი.
ის არ იყო ლოთი, არც ჭლექიანი...
ის დაღუპა მეტისმეტად მგრძნობიარე გულმა
და შესაძლოა, შეგრძნებამ, რომ ის მარტოა.
შედიხართ ოთახში...
პირველი, რაც თქვენ გეცემათ, ეს —
სპეციფიკური სუნი კვამლისა...

მეხუთე დრო

რა უცნაური დღე არის,
თითქოს არის და არც არის, —
არც ზამთარია, არც გაზაფხული,
არც ზაფხულია, არც შემოდგომა...
თითქოს თეთრ ღრუბლებს მუცლები
ტალახით ამოუქოლეს,
თითქოს ქალები აორთქლდნენ
და კაბადონზე ჩამოწვნენ,
კაცები დააუთოეს
და ბნელ სკივრებში ჩააწყვეს;
ქუჩებში ლამპიონები
მგლის თვალებივით ანათებს
და ჟანგიანი ტანკები
ცეკვავენ სამბას ტანგებით.
მერე, საღამოს ამბები
ბაბუას ძველი ფლოსტებით:
ისევ ჯვარ-თეთრი დროშები
გმირი გვამების ლაქებით,
ყალბი დელფოსის მისნები
შუბლზე და მხრებზე ნიშნებით;
ვხედავ ბიჭუნა დევკაცებს,
როგორ როკვავენ მენუეტს
და ავსულები ასულებს
მკერდით აწოვენ სისხლის წვეთს;
აქ თითქოს ღმერთი დამარხეს, —
ტაძრებს ფარჩებით მოსავენ,
ღვთისმშობლის ნამიან თვალებს
შავი ძაღლები ლოკავენ.
ჩემო უფალო, მიწყალე,
რომ დირეს გამჩნევ ბრმა თვალით,
თითქოს მგზავრი ვარ გამწყრალი
და მაინც შენკენ მავალი.
რა უცნაური დღე არის,
თითქოს არის და არც არის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციცაბო ფერდობს პარნასის
მიუყვებიან დაღმართებს
და აღვირახსნილ ულაყებს
სდებენ მოოქრულ ლაგამებს,
ბავშვების ციცქნა ყულაბებს
მშობლების ფერფლით ავსებენ,
ანკარა ცრემლის ალმასებს
სტიქსის ნაკადებს ატანენ.
რა უცნაური დრო არის,
თითქოს არის და არც არის, —
არც ზამთარია, არც შემოდგომა,
არც ზაფხულია, არც გაზაფხული.
ალბათ, მეხუთე დრო არის,
რომელსაც ჰქვია — არ არის!

* * *

ღმერთი ზღვასა ჰგავს,
სიზმრად რომ ვნახე
და გაღვიძებულს გადამავიწყდა,
მერე კი ცრემლი წამომივიდა
და მისმა გემომ კვლავ გამახსენა:
ბავშვობა, ცირკი და ის კლოუნი
ჩემს გაცინებას რომ შეეცადა,
მე კი შემრცხვა და ჩუმად ავტირდი.

* * *

ეჰ, სოფია, სოფია...
მთელი ფილოსოფია
ამ ქვეყნად სულ ორია:
უნდა იყო ცოცხალი,
როგორც ზღვის მაგნოლია
და ისეთი ლამაზი,
როგორც ტყეში გნოლია.
დანარჩენი — ხაბაზის
აბაზებზე ფიქრია,
როგორც ღამის ბაზარი
სევდით უზარმაზარი.

* * *

საოცნებო ზღვა და ცაა,
ბინდი უყვართ ლიანებს,
გათენდება სადაცაა,
შენ კი სულ იგვიანებ.
დაფნისა და პალმის ჩეროს
ფანტომები გროვდება,
სიყვარული, დავიჯერო,
ახლა არ გაგონდება?
ღამით ზღვა და არა დღისით,
ჩრდილი ცისფერ აფრისა,
დასასრული, დასაწყისი
უშორესი ზღაპრისა.
საოცნებო ზღვა და ცაა,
მთვარე ეტყვის ლიანებს:
გათენდება სადაცაა,
ის კი — დაიგვიანებს.

* * *

ღამე გამოუცნობ
სიზმრით მოითენთა,
ფერებს აირისებს
ხელი უხილავი,
ბაგეთ აჩურჩულებს
რაღაც მოგონება,
თვალებს ახამხამებს
ბაღი მთვარეული.
ლოცვად არეული
სუნთქვა, გაყუჩება
ველებს დაეუფლა
მსუბუქ ფანტომებით,
სძინავს მონდომებით
სურვილს გადანაქანცს,
მთები მისცემიან
ცისფერ საგონებელს,
ცაცხვის ჩეროებში
ლურჯი ოცნებები
ძველი სიყვარულის
ზღაპარს იგონებენ.
ცაზე გაფანტული
ფრთები მენადების
ზეფირს ათრთოლებენ
უხმო დაღალვაში.
ღამე გაფითრების,
ღამე იალქნების,
ღამე გამოუცნობ
სიზმრის, ფერადების.

* * *

ჩემი ღამე ნებისა არის ღამე თევისა,
ცა ცრემლებით მენისლა შენი თვალის ფერისა,
სული დამაქვს ბერისა, სურვილები — ელვისა,
შენი ბაგე მელნისა ამბორი თუ მეღირსა,
მაშინ ღამე ვნებისა იყოს პოეტებისა.

* * *

ბიჭვინთა...
ნაპირი
დაბურული ფიჭვითა...
მე კი მოგონება
ახლა დავაპირე, —
იქ კიდევ ზღვა მიცდის,
ზღვა სავსე იჭვითა.
უცებ დავეჭვდები:
ბეჭდები,
თვით ამ ზღვისფერი
შენი ბეჭდები
დამიფარავენ?
შენ იცი: მე მიყვარს
ჩემს გულში ჩახედვა, —
ზღვაც ასე ლივლივებს,
ზღვა სავსე იჭვითა...
და რაღაც იშვიათ
ფერებს მივენდობი, —
ერთობი,
შენ კი ბავშვივით ისევ ერთობი:
ზღვამ წაიღოს თუნდაც
გული სავსე იჭვით, —
დაპირების იჭვით...
ნაპირები ფიჭვით.

* * *

შემოდგომის ყვითელ ფოთლებს
ქარი სადღაც მიაქროლებს,
ქარი სადღაც მიაქროლებს
ჩვენს სიყვარულს, როგორც ფოთლებს...
გიაცინტებს, გერანს, ირისს,
იშვიათის, განა ხშირის,
შემოდგომის სიყვითლე და
იცავს ფერი ქვანახშირის.
ფოთოლთ მწკრივი მისდევს ბილიკს,
რომ ემთხვიოს ამარილისს,
ყველაფერი, ყველაფერი
დნება როგორც ქვამარილი.
ასეთია გრძნობა ხანის,
გრძნობა წყლულის და ზიანის,
დღეებს ახლავს მწუხარება
და სიმღერა ცრემლმზიანი.
ამ სიმღერას ის გაიგებს,
ვინც ოცნებით ხმას არ იღებს,
ვინც დღეს დღეზე, წუთებს წუთზე
უხვ გრძნობებით ათარიღებს.
და ფოთლების ზღვა გუნდებად
ვინც მოლოდინს აქ უნდება,
შემოდგომის ზღაპარი და
სიყვარული აგონდება.
შემოდგომის ყვითელ ფოთლებს
ქარი სადღაც მიაქროლებს,
ქარი სადღაც მიაქროლებს
ჩვენს სიყვარულს, როგორც ფოთლებს...

შემოდგომის ანარეკლები

ის მოვა მსუბუქ ატივტივებით,
რომ ნაზ გობელენს ფარდა ახადოს
და ზღვის ნაპირებს გადაახატოს
გაძარცულ ხეთა ნეგატივები.

ყურს თუ დაუგდებ, შენც აგატირებს
ბაღი უსაზღვროდ ასე ყვითელი,
გაიმეორებს ნაცნობ მოტივებს
გული სხვა გრძნობით შეუსყიდველი;

ის სხვა ოცნებას ვერ შეიფერებს
არა უნაზესს ვარდთა ბაგეზე, —
საყვარელ ფერებს, იმ ყვითელ ფერებს,
დაღალულ ფერებს და სიფაქიზეს.

წამყე იქ, სადაც შეუდარველი
გრძნობის მოადგა ტალღა ნაპირებს,
აქვითინებას სადაც აპირებს
შემოდგომების სული მფარველი;

სადაც დაღალულ წიგნთ სტრიქონები
გარინდებაში ასე კვდებიან...
წამყე! ვერხვები იქ გვიგონებენ
და სამუდამოდ გველოდებიან.

* * *

მაისის ვარდებს მე ვიგონებ გულდაწყვეტილი,
თითქოს მაისი კვლავ არასდროს არ დაბრუნდება,
იქნება ნაზი შემოდგომა განუწყვეტელი
და ასე უცხო, ასე ჩუმი შებინდბუნდება.

მწარე ღიმილი ამიტომაც შემრჩა ბაგეზე,
უკანასკნელი ჩემი ლექსი ისევ შენია,
გულს, რომლის სევდას შეუქმნია ეს სიფაქიზე,
მუსიკის გარდა არაფერი არ შერჩენია.

* * *

ნუთუ ყველაფერი დამავიწყდება
და ეს დღეები გამახსენდება
როგორც სიზმარი ჩემი ბავშვობის...

ნუთუ ყველაფერი დამავიწყდება
და შენი სუნთქვა გამახსენდება
მხოლოდ ჰანგებით ჩიტის გალობის...

ნუთუ ყველაფერი დამავიწყდება
და ეს ხელები გამახსენდება
მხოლოდ ტალღების გრილი შეხებით...

ნუთუ ყველაფერი დამავიწყდება
და ეს თვალები გამახსენდება
მხოლოდ ცრემლივით მოსულ წვიმებით...

ნუთუ ყველაფერი დამავიწყდება
და შენი თმები გამახსენდება
მხოლოდ ფოთლების ბინდში შრიალით...

ნუთუ ყველაფერი დამავიწყდება
და შენი ფიქრი გამახსენდება
მხოლოდ დეკემბრის თეთრი ფიფქებით...

ნუთუ ყველაფერი დამავიწყდება
და შენი სახე გამახსენდება
მხოლოდ სარკეში ჩემი სიბერის...

ნუთუ ყველაფერი დამავიწყდება...

* * *

ხშირად ვიხსენებ ამ ბოლო დროს, რა ძვირფასია
ხანა გრძნობების მოგიზგიზესი,
რომ სიყვარული ერთადერთი სილამაზეა,
სილამაზეთა კიდევ მიზეზი.

და ახლა, როცა მე ვიგონებ გულს ცეცხლის ალთა
დარევას იმგვარს თუ რას არქმევდა,
დაეცა ბაღებს შუქი მკრთალი და აკანკალდა;
ო, რა მოწყენით ვდგავარ სარკმელთან.

ზამთრის ბნელ ღამეს მოგონებას დაეწვეთება
ვარდი ნაზარდი წყლებით ლეთისა,
და სიზმრისაა ყვავილები, როცა ედება
მზე ჩამავალი დასავლეთისა.

მოსულა ზამთარი

წამები მიყვება
გაყინულ წამთა რიგს
და ზღაპარს მიყვება:
მოსულა ზამთარი...
სიცივე ატირებს
პატარა ბეღურებს,
მისდევს მონადირე
ტყეში ნაფეხურებს.
სითეთრე თოვლს უქეს,
სახლების სახურავს
იგი უფაფუკეს
საბნებად ახურავს.
ეს დღე გაყინული
ბარდნას არ ამთავრებს, —
მოსულა ზამთარი...
მოსულა ზამთარი...

* * *

მამა, ძვირფასო, მე შენ გიპოვე,
ვით ძველი წიგნი წაუკითხავი
და მის გვერდებზე შემორჩენილი
ვარდის გამხმარი ერთი ფურცელი,
როგორც სარჩევი, თითქოსდა ჩემთვის
იქ საგანგებოდ დატოვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მოვა და გეტყვის,
ჩვეული ლიქნით,
წამოდი,
ამდენს როგორ უძლებო,
დაიხურები
ვითარცა წიგნი,
უბრალო,
უყდო
და უფურცლებო.

ის არც აროდეს
ყოფილა ტკბილი,
არ მოვა ის დრო
(თუნდაც ფრთამალი),
რასაც იხსენებ
და იცავ კბილით,
ისიც ნაშთია
და ნატამალი.

ხომ ამ მიწაში
მუხლამდე დგახარ,
თან მიწას დამზერ
ცის დარბაზიდან...
ბოლოსდაბოლოს
ასეთი რა ხარ,
სად ხარ მართლა და,
სად ხარ ყასიდად!

რომ სიზმრის კოშკში
მახვშივით ზიხარ
და ხმას აყოლებ
ქარების არღანს,
ბოლოსდაბოლოს
ასეთი ვინ ხარ,
რომ ყველგან ხარ და,
რომ არსად არ ხარ;

რომ
ხან ხმაურით
ჩუმობ და წყნარობ,
ხან
ყრუ სიჩუმით
ამტვრევ ამ კარებს...
რომ არც ცაში ხარ,
არც მიწას წყალობ,
აღარც ამ ჰაერს
ფრთას არ აკარებ...

* * *

აღარ ყოფილა
ის გზა ულევი —
თვალსდახელსშუა
როცა დრო გავა...
ნაირნაირი გაზაფხულები
გამომელია
დაუზოგავად!

და შევრჩი ასე
ბუზღუნა ავდარს,
და გავცდი მირაჟს:
„რა მომერევა!“
ახლა პურივით
ვიზოგავ ზამთარს,
სანამ ზამთარიც
გამომელევა!

შაშვი
ცისკრის ლექსი

იმნაირს გალობს,
დამბურძგლა ტანში,
ამაცერცეტა დილაადრიან...
ამ შაშვს რომ ახლა
დავუკრა ტაში,
შვილიშვილები
გიჟად ჩამთვლიან.
ახლა ორივეს
იღბალი გვწყალობს
(აწყდება გულზე
ღამეს ღილები...),
ზის ტოტზე შაშვი
და ჩემთვის გალობს,
მე მისთვის
ამ ლექსს ვეჯახირები ...
ზის და ღმერთივით
დილას ათენებს,
მზის,
ჰანგისა და
ცისკრის ლობისტი...
და სულ არ ჩივის,
ეს მერამდენე,
ლექსს რომ უწერენ
ამ გალობისთვის...

ზამთარი

...დრო-ჟამის
მორღვეული ჯვებირები
და ზამთრის ღამეებთან დამოყვრება...
ხვალ თუ ზეგ
წასვლას ვეპირები —
ჩემს ზამთარს
გაზაფხული
არ მოჰყვება.

გელოდეთ
სიყვარულის ახდომამდი,
ჰაერიც რომ
გათბება და გამოლღვება,
თქვენ ისევ
ყვავილებით აღფრთოვანდით!
ჩემს ზამთარს
გაზაფხული
არ მოჰყვება.

არ ვნანობ
სივრცეებს და
იმ მანძილებს,
არც იმ კვერს,
ბოლობოლო
რაკი ცხვება...
ეს ზამთარი თქვენამდე მიმაცილებს,
თქვენ იქეთ —
გაზაფხული გაგიძღვებათ...

* * *

...მეყოფა შიში
და სულის გვემა,
და ცრემლის ხსოვნა
თვალებს აოსებს...
გაძვალტყავებულ დღეების რემას
მივდენი ღამის სასაკლაოზე...

სულ ეს ვარ,
სანამ ცას ვეახლები,
დაღლილ გუგებით და წამწამებით,
ცაში ყმუიან
ღრუბლის ძაღლები
და ჩემს სიზმრებში დაწანწალებენ...

იქ სინანულის
გოლგოთა მიცდის,
ვარ უმკაცრესი ღმერთის მსახური!
...რაცა ვარ, ეს ვარ,
და შავი დღისთვის,
არაფერი მაქვს
გადანახული...

* * *

ვინ გაარჩევს
ამდენ მტერს და მოკეთეს,
ამდენ სხვა ხალხს,
ამდენ შლეგს და ბნედიანს...
ოღონდ თქვენ ნუ უღალატებთ,
პოეტებს
უთქვენოდაც დაწყევლილი ბედი აქვთ...

ერთნაირად გული თუ დაწყვეტიათ
სიკვდილის წინ ტატოსა და გოეთეს...
მარტოობა პოეტების ბედია —
ოღონდ მარტო ნუ დატოვებთ პოეტებს...

იმ ერთს ერთხელ,
თურმე ფრთები დასჭირდა,
ვით პატრონი,
ვით სივრცე და მაჯამა...
გადმოგვხედა მერე ღია ფანჯრიდან,
გადმოგვხედა და...
სირცხვილი გვაჭამა...

* * *

წყალმა წაიღო
ხსოვნის ზარდახშა,
დრომ გაიყოლა
დროც და დროებაც...
წამლად ეს ერთი
ლექსი გადარჩა —
გენიალური
უბრალოება!..
რას გამოტყუებ
ბედის მარჩიელს,
მივალ და...
ჩემი ჟამიც წავალის...

სულ ეს ლექსია,
რაც გამაჩნია,
გულის წასვლაც და...
გულის წამალიც...

* * *

ვასილმა თქვა —
შველა უნდა
ამ დაცემულ ლექსის კურსსო,
არის ლექსი სახალხო და
არის ლექსი საკონკურსო...

აქეთ რომ დევს — სახალხოა,
საკონკურსო იქით დევსო,
რაც რომ მოსწონს ხუთიათასს —
ხუთი კაცი იკიდებსო!..

მავანნი ქე კვირობენ და
ლექსში ლექსს და მზეს ელიან
(მე ნურაფერს დამაბრალებთ,
ვასილმა თქვა,
ბესელიამ!)...

* * *

ვუსმენ გულწითელას
თავგადაკლულ ვალსს...
გავიყოლებ ცაში
გულწითელას ვალს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიყოლებ შენთვის
შეპირებულ ლექსს...
გავერიდო უნდა
ამ დღეების ლექს.

გავეცალო უნდა
წუთისოფლის ფარსს,
შეველიო გულს —
ჩემს გატეხილ ფარს...

უსათუოდ მოვა
(რომ მოვიდეს ხამს!),
ამამაღლებს ცაში
უბირსა და ხამს!

ცის აღმართზე მავალს
შემაშველებს მკლავს...
სანამ იგი მომკლავს —
გულწითელა მკლავს!..

ზამთრის ლექსი

ზამთრის გადამედო ფერი —
დაბმული ვარ ხარი ხართან!
ვმღერი,
მაგრამ
ტირილს ვმღერი,
ვეჭიდები ხავსის ხარდანს.

რაც ვერ ვპოვე —
აწი ვერ მსურს,
მოვრჩი საყვედურს და ღაღადს
(ვსვამ და
ვემსგავსები ხევსურს —
გიგო გაბაშვილის ნახატს!)...

ზამთრის გახუნებულ ყვავილს
ვიხდენ ხსოვნის ცოდვა-მადლით,
დაკარგული დამაქვს თავი,
საძებარი გავხდი სანთლით...

ზამთრის ძილით
ძილში მღვიძავს
და თავს ვუხრი რამდენ ცრუ თავს,
ხორცს ვუბოძებ
ვიდრე
მიწას,
და სულს —
ზეცა შეისრუტავს!..

ზამთრის გადამედო ფერი —
ვეგუები პირქუშ ბატონს...
თოვს და
თოვლის
თოვა მღერის...
ხარს ათოვს და...
ბღავილს ათოვს!..

* * *

საშა გველესიანს

...დავდივარ ზამთრის ოკეანის
სანაპიროზე,
დღეები გამაქვს ნასუფრალი
ფერების იჯრით...
აღარ ვსვამ არაყს, აღარც ღვინოს
(ვენდე სპინოზებს!)
შევრჩი ნატურმორტს —
ჩამავალ მზით
და ჩაის ფინჯნით...

ახლა ვიღაცა ჩემიანი
ციდან ხელს მიქნევს,
წყინდება კაცსაც
წუთისოფლის ფანდურზე ბუქნა...
ნეტავი იმ დროს,
მხევლები რომ მახლიდნენ ჯიქნებს
და მუხლზე მეჯდა ესენინის
მურდალი ძუკნა!

ფიქრშიც ჩამოლპა
უკანასკნელ ქოხის ყავარი,
თვალებში ჩამდის ჯოჯოხეთის
ბებერი ნისლი...
ახლა ის დროა —
ზღვის გადაღმა დამრჩა ყამარი,
არც მეგობარი,
აღარც მტერი
არც ძმა და ქვისლი!..

აწ ზამთრის ტოტებს
რას უშველის
სხივის ნარჩენი,
რაღა დროსია გამოდენა
სისხლის და ოფლის...
ცას მიწერილი
არარსებულ წიგნის სარჩევი
ჩემს არარსებულ არსებობას
ყელამდე ყოფნის!

ვარ ასე ჩუმად
ერთნაირად მრავალნაირი,
რა ადვილია სარეცელზე
ფიქრივით გდება,
შეუმჩნეველი რომ ხარ ისე,
როგორც ჰაერი,
რომ სულერთია —
შენ კვდები თუ ჰაერი კვდება.

ბოღმაც კაცივით ცოდოა და
კაცის მდგმურია,
კაციც ცოდოა —
სიკვდილივით ბოღმაში ჩარჩეს,
სანამ შემეძლო
„ვხარჯე გული“ (ტ. ჭანტურია),
აღარ ჩამოვთვლი
სხვა წვრილმან და
უაზრო ხარჯებს...

მოგვძებნის ვიღაც,
ბრმაც რომ იყოს,
მოვა არგანით,
დააჩნდა მიწას
რადგან ერთი
ციხე და ქავი...
ცაშიც ადგილი
მეგულება
დასაკარგავი,
შენ ის თქვი ოღონდ —
დასაკარგი ვიპოვოთ თავი!

ეს ლექსი შხამში მოდუღებულ
ღამის ლექია,
და სანამ ეძებს გულის გამხსნელს,
და გულში ადგილს,
შემოახტება რიჟრაჟს ქედზე
ნაცარქექია
და მოდარაჯე
დილას ყურში
გაუყრის სადგისს!

ბოლო ყაზალებს
გალობს შაშვი —
დილის საადი,
ამ სასწაულსაც შემოვივლებ
ქეციან თავზე...
დავდივარ, როგორც
ფეხადგმული ქვიშის საათი,
ციდან მიწამდე ვიცლები და
სამარეს ვავსებ...

* * *

სიბრძნის მეპარება ხვითო
და პარპალა კოჭობს მიქრობს...
ვალს ვისტუმრებ:
თითო-თითოდ
ვიხდი დღეებს — სესხებს მიკროს.

რაც არამად ვფანტე გზებზე,
ახლა წებოსავით ვიკრობ,
ახლა მიკროსკოპით ვეძებ
სიყვარულის მტვერს და მიკრობს...

ბოლო ბოღმა გამიჯიქდა —
აქ რაა და... რაა იქ რო...
ასჯერ ნამყოფი ვარ იქ და
ასმეერთე
ცდაზე
ვფიქრობ...

* * *

ნანას

თოვს.
ზამთარი რამდენს ბედავს
თოვს
და ამხელს
ზამთრის პათოსს.
ათოვს პალმას,
ათოვს კედარს,
ბზას და
ლუგუსტრუმებს ათოვს...

თოვს.
რომ თოვდა მარტო ჩვენთვის,
იმ თოვლების წამი გვათოვს...
თოვს...
და ვნატრობ
ღმერთმა ერთი
პარასკევიც...
წაგვიმატოს!...

* * *

რაც ჩემში ხდება,
ჩემი ბედია...
და მაინც გეტყვი
ამბავს
არახალს:
რომ უშენობა
ბევრად მეტია, —
ვიდრე იყავ და,
ვიდრე არა ხარ...

იუმორესკა

რა ვარდები გიგზავნე და
რა ცრემლები მოვაწურე,
რა გეხვეწე:
— ტურფავ, ტურფავ,
ჩემსკენ ნავი მოაცურე!

მგონი ნავშიც ჩაგიჯექი
(ვერ ვიხსენებ ახლა მაგდენს),
ის კი მახსოვს,
შუა წყალში,
ნავიდან რომ გადამაგდე!

მაინც გიმღერ:
— ტურფავ, ტურფავ!..
ლექსს გიკითხავ
მაინც რიხით!
...და ხარხარებს
ეთიმ გურჯი
და ჰაინე
(ჰაინრიხი)...

* * *

დაბნეულები და დაღლილები
წლებით,
ოჯახით,
სმით და
წანწალით,
შემთხვევით ვხვდებით...
იმ ძველ სიყვარულს
ეს ვითომ კოცნაც
ხომ გავაწანით...

ამბავს მიყვები...
ისე მიღიმი...
და ჩამქრალ ცეცხლით
ისე ანათებ...
მადლობა უფალს —
შენ რომ მიყვარდი,
და ვინმე სხვას რომ
არ ვუღალატე...

* * *

ვისთვის კარგი ბებო ხარ და
ვისთვის ისევ გოგონა ხარ...
ვხვდებით...
ვდგავართ...
უპასუხოდ
გვრჩება კითხვა —
„როგორა ხარ?“

...ისე მახსოვს
ეს მკერდი და
ტუჩები და
ბადაგის სმა...
ხომ მოვკვდები,
ახლა თავზე,
ხელი რომ არ
გადაგისვა!..

ჩინოვნიკის დღიური
ხუმრობა

მოშიშვლებული მკერდის უფსკრულით,
ბროლის ფეხების აისბერგებით
შემოდის ქალი,
სავარაუდოდ
ასაკით ამ ქალს მამად ვერგები.

მთლად ბავშვიაო, თუმცა, ვერ იტყვი,
აზრებიც არც მთლად ბავშვურს მიუგავს...
წვალობს:
ხან ხელით ფარავს დეკოლტეს,
ხანაც მუხლებზე ქაჩავს იუბკას...

ვუსმენ.
ხარხარებს ბროლის ფეხები
და თვალი
ზომავს მკერდის ბარაქას...
ის კი გადის და
დაქალს უყვება,
რომ სულ ტყუილად
მელაპარაკა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლი

ლეკვს ახალახელილი ჰქონდა თვალები, საქონლის თბილი ბაგის და რძის სუნი ასდიოდა ისევ. ძუ გამოდგა. მამაჩემმაც ვერ გაიმეტა ხელმეორედ გასაჩუქებლად.

ვპარავდი დედაჩემს რძეს, ახალ პურს და ვაჭმევდი. დამრგვალდა, „წამოვიდა წვიმაწყალივით“, როგორც ბებიაჩემი გოჭებზე ამბობდა ხოლმე. ბურთა დავარქვით — გულაღმა წაქცეულს წამოდგომა უჭირდა სიმსუქნის გამო. ეთამაშებოდა ყველას, მამაჩემთან გასაკრეჭად მოსულებს, მეზობლის კოჭლ ცხენს, თოკმა ფეხი რომ გაუფუჭა და თავიანთი ბოსტნიდან გრძელი კისრის წყალობით ჩვენს ყვავილებს ჭამდა. უყვარდა ფეხზე კბენა სრულიად უბოროტოდ და ამის გამო შეიძლება ფეხდაფეხ ედევნა მთელი დღე.

ზაფხულში თიბვის დროს, როცა შუადღით მუშაობა აუტანელი ხდებოდა, მწვანე ბალახი ყვითლად იწყებდა კვდომას. ხომ იცით, აგვისტოში ყვითელი სიკვდილის ფერია. ლეკვი გაეხვეოდა ბებიაჩემის მიერ გასარჩევად გაშლილ მატყლში და ეძინა. აიშვერდა მაღლა ოთხივე ფეხს. ჰოდა, ჩხუბობდა ბებიაჩემი:

„ახალი ჩულქი დამიხია ამ დასაწველმა“, მაგრამ მალევე უბრუნდებოდა „დასაწველ“ ლეკვზე გული და პატიჟებდა მატყლზე:

„დაწე, გოგო, ნანინა ქენი.“

არ დადგებაო ამისგან „ფხიზელი“ ძაღლი, ამბობდა მამაჩემი. ყურების დაჭრა მოუნდა, „გამოფხიზლების“ გამო და არ დავანებე, არ მოუხდება-მეთქი.

სწავლა დაიწყო და წამოვედი სოფლიდან, არდადეგებზე ავბრუნდი ისევ. ლეკვი გაზრდილი დამხვდა. თვეები ჩვენთვისაა ცოტა, ძაღლისთვის ალბათ ძალიან ბევრია.

მამაჩემი აშკარად კმაყოფილი იყო ძაღლით, ფხიზელია, მთელი ღამე ყეფს, უცხო საქონელს არ აჩერებს ეზოშიო. ბებიაჩემი სიძეებს ელოდებოდა უკვე, აძუნდება მალეო, ასკვნიდა ვეტექიმ ეფრემასავით.

დავუსხი საღამოს მოპარული რძე, ჩავუფშვენი ახალი პური და როცა თამაში ვცადე, გაავებული წამწვდა საკბენად ფეხებში.

გაზრდილიყო და გაბოროტებულიყო.

არ მომეწონა, მერჩივნა ისევ ისეთი მხიარული და უწყინარი დარჩენილიყო (ჯანდაბას, წაერთმია წიგნი და მედევნა კარტოფილის კვლებზე, ეთქვა მერე ბებიაჩემს, არაფერი გეშველებაო)...

თუმცა მას რას ვერჩოდი, მე თვითონ ვიცვლებოდი დღითი-დღე, სქელკანიანი ვხდებოდი: აღარ მაღელვებდა ფილმი ცუდი დასასრულით, კუთხეში მდგარი ბებრული ცრემლით მტირალი მათხოვარი, კარგი წიგნი და წყაროში ჩაცვენილი ვერხვის ოქროსფერი ფოთლები, ჰაერით სავსე კოპლები გიშერივით შავ კუნელზე. ჰოდა, რაღას ვერჩოდი ძაღლს...

დაღამდა...

თებერვლის ღამეა, ცივი, თოვლის ღამეული მსხვილი ფანტელით. ვზივარ ჩამქრალ ღუმელთან და ვკითხულობ ბუნინის ლიკას სანთლის შუქზე, ინტერნეტის ხანაში.

ვამთავრებ წიგნს და ჩემი ძაღლის გაავებული ყეფაც მესმის. მგელია! ძაღლს წაიყვანს. გავვარდი წინდების ამარა მუხლამდე თოვლში, მივრბივარ, მივრბივარ და ვყვირი მთელი ძალით. ვეძახი ძაღლს. ფერდაზე ვაშლის ხესთან ხელებზე გავხოხდი კიდეც. ახლა უკვე ჩემი ძაღლის უმწეო წკმუტუნი მესმის ხევს გადაღმა, კილომეტრს იქით. გული რომ ამომვარდა, გავჩერდი.

თოვლში ნაგორავები, სისხლი და დიდი ნაკვალევი დავინახე მგლის. ჩავჯექი თოვლში. ქარის ხმა, ხევის ლუკ-ლუკი და გაყინული ტირიფის ტოტების ტკაცა-ტკუცი ისმოდა მხოლოდ.

„ველარაფერს უშველი, წაიყვანა უკვე“, — დამიყვირა მამაჩემმა სახლიდან, ჩემი გულჩვილობით გაბრაზებულმა იმ ღამესავით სუსხიანი ხმით. მგლის ბოღმა რომ არა, აუცილებლად მოვაღებდი პირს.

მე მაინც დიდხანს ვეძახდი ძაღლს, უმწეობით გატენილი ბრაზით და სველი ფეხებით.

რაღაც დღიურის მსგავსი

მოვა თებერვალი, გაზაფხულის პირი, აამღვრევს ბუნებას და უჩენს ადამიანს ჩუმ სატკივარს, მოხუცებს განსაკუთრებით. ეხუმრები შენ ოთხ მკვდარს ორ კვირაში?! მეხუთე ბოტანიკის მოხუცი მასწავლებელი იყო, ნამლევა, მკაცრი. როცა გავაბრაზებდი, მემუქრებოდა, ფანჯრიდან გადაგაგდებო; უკვე მეცხრეკლასელ ვირს.

წავყევი მეც მესაფლავეებს. ჯერ ერთი, დავაღამებდი დღეს; მეორეც, მახსოვდა მისი ნასწავლი ბუტკო და ფოტოსინთეზი. წავედით საფლავის გასათხრელად: ერთი მოხუცი ყრუ-მუნჯი, ერთიც შუახნის, ლოთობით გვერდზე გადაღმერთილი, ერთიც ჩემხელა აქა-იქა კბილებით და მე — უშნოდ გამომღამებელი წუთისოფლისა. გამოგვყვა სასაფლაოს ცალთვალა ყარაულიც, მოგვიზომა და მოგვადგა კოჭლი ბებერი თავთიხაც. ადრე სასაფლაო ჩემი სათიბი იყოო, იხტუნავა კალიასავით კოჭლი ფეხით, აქეთ, გზისკენ ნუ გადმოხვალთ, მე და ჩემი ცოლი უნდა დავიმარხოთო. კაცი გულზე დასაყრელი შავი მიწით რომ ვერ გაძღება...

მიწა რბილია. რამდენიმე დღის წინ აქ თოვლი იდო, თებერვლის დღენაკლული თოვლი და ებრძოდა გაზაფხულს, როგორც ჩემი მასწავლებელი სიკვდილს. გაღმა ძველი სასაფლაოა სოფლის ასაკის. ვიღას არ ნახავ ქვაზე ამოკვეთილს, კავიან მეცხვარეს თუ გუთნისდედას. ფიჭვი დგას ბევრი და სოჭი. მაგარი მიწა, სალი კლდე — ამიტომაც ხალხი აქეთ მარხავს, ახალ სასაფლაოზე. არავის უნდა, თავის მკვდარს გულზე ლოდები დააყაროს. თანაც ძველ სასაფლაოზე მიწის გათხრისას შეიძლება ვიღაცის კუბოს მოახვედრო წერაქვი. კუბო სანამ მიწაშია, საღია, მოხვდება მზის სხივი და იშლება. ძვლებია მარტო, ტომარასავით ჩამოცმული ტანსაცმლით. მესაფლავეები შეყოფენ კუბოში ხელს და სასმელს ეძებენ. ძველ სასაფლაოზე შეიძლება შენი მკვდარი ვიღაცას დაამარხო გულზე. სხვისი არ ვიცი და სიკვდილი ჩემთვის მოსვენებაა. და სულაც არ მინდა, ვიღაცას ვაწვე გულზე.

ახალზე ბებერი კაკლებია, უამრავი მარმარილო თუ გრანიტი, ვერ ვერკვევი კარგად. მარჯვნივ წმინდა გიორგის საყდარი, მარცხნივ ღვთისმშობელი. ღმერთთან სალაპარაკოდ გამოვდივარ ხოლმე.

მიწის ზედაპირს ბელტებს აჭრი და საფლავის პირზე ალაგებ, მიჯნა რომ არ დაგერღვეს. მერე ნელ-ნელა სიღრმეში ჩადიხარ, მიწას მაღლა ყრი. შორს არა, იქვე. ხვალ დილას ისევ შენ უნდა მიაყარო. მუნჯი მიტევს, ნიჩაბს ნუ მაწვდი ხელშიო. არ შეიძლება თურმე. მეცინება და მიწაზე ვაგდებ.

ჯერ თიხა გვხვდება, მუდმივად სველი, მერე კი შავი მიწა, ისეთი შავი, იფიქრებ, ვიღაცას განგებ გაუპოხიერებიაო. გვერდზე გადაღმერთილი ფილოსოფოსობს: „რამდენი შეჭამა ამ მიწამ და კიდევ რამდენს შეჭამს“.

ზომა, როგორც წესი, მეტრანახევარია, მალ-მალე ჩაზომება გვეზარება. როცა ზედაპირს ნიკაპით გაუსწორდები, საფლავი მზადაა.

ვლაპარაკობთ იმაზე, როგორი კარგი ამინდი დაუდგა მიცვალებულს — არც ჭირისუფალს აწვალებს და არც მოტრიალეს. მოუვიდოდა ხალხი თუ ვალი დაედებოდათ?!

ვიღლები, ხელიც ამებებრა, ამოვდივარ და აკოკოლავებულ მიწაზე ვჯდები. მაღლა გაიფიქრებ — ვისაც ვერ იტან, იმისთვის ბელტსაც არ გადააბრუნებ. ეგაა მხოლოდ, გაგიჭირდება საყვარელი ადამიანისთვის მიწის მიფარება. იმაზეც იფიქრებ, არა, ინატრებ, არ ნახო მათი სიკვდილი, ვინც გულით საყვარელია შენთვის. ამისთვის მზად ხარ, რომ შენ ნახვიდე წინწინ.

გამოგიგზავნიან საჭმელს, ჯდები, არც იბან, იფშვნეტ გამხმარ მიწას ხელიდან. პირველს ახლად შესვენებულს მოიხსენიებ, მერე უდროოდ წასულებს, ვინც გული დაგვწყვიტა. იცი, რ-ა? იქნებ ის უდროოდ წასული იმდენს მიხვდა. მე დროულად რომ წავიდე, ვერ მივხვდები, არ ვიცი.

კიდევ მოიხსენიებ უპატრონოებს, აღდგომას წითელი კვერცხის გადამგორებელი რომ არ ჰყავთ.

სასმელისგან შეხურებული მერე რას იტყვი, აღარაა საინტერესო...

როგორ შეიძლება, კაცი თებერვალში მზეს დაემდუროს, ნუ აცხუნებო?! მარა მაჭერდა სასმლით გახურებულ შუბლზე. ფიჭვები შორს იყო, მივწექი საფლავის გვერდზე და მივეხუტე ცხელი შუბლით ცივ მიწას. მოედო სასმელი გადაღმერთილსაც, ვერ ჩადის მიწის ამოსაყრელად საფლავში, თუ ჩადის და ვეღარ ამოდის.

ბოლოჯერღა ჩავედი დაბლა და მივეზომე ნიკაპით, გავუსწორდი უკვე.

მოვრჩით.

წერაქვი მხარზე გავიდე და ჩამოვუარე მიწასამოფარებულებს.

ღმერთო, როგორ არ უხდება ქვაზე დახატული ლამაზი სურათი ჭიისგან შეჭმულ მკვდარს...

მივხვდი, როგორი უნდა იყოს ჩემი საფლავი — უბრალოდ გათლილი ლოდი, გვარი და სახელი.

ერთი საფლავის ღია კარი მივკეტე. ქვას გავხედე, ლამაზი ქალია ძალიან და იქვე ეპიტაფიაც:

„ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ. თუ მართლა იცი, რა არის ღვთის მადლი და სასუფეველი“.

რომ არ ვიცი, მაგას ვჩივი მეც...

ჩემ ხსოვნაში

ის დრო ხომ გახსოვთ, დენის მოსვლა დღესასწაულივით რომ იყო?

მანამდე კი მიდიოდა და ბნელდებოდა სოფელი. დაიწყებდნენ უფროსები მთავრობის გინებას, უფრო უფროსები — კომუნისტების ნატვრას, ქალები კი: „სინათლე გამოელიოთ თვალში“.

გამგზავნიდნენ გარეთ ღამით, როცა ქარი აბუქებდა თოვლს: გაიხედე, ალგეთ გაღმა სოფლებში თუ არის სინათლეო. თუ იქ იყო და... დათვებს აქვთ სინათლე, ჩვენთან რა სატკივარი სჭირსო?!

ჩვენ გაღმა სოფლელ მთიულებს დათვებს ვეძახდით. ისინი წოპრეებს გვეძახდნენ. წოპრე რას ნიშნავს, არ ვიცი; ვფიქრობ, კარგს არაფერს.

თუ უფროსებს „მაღლა ასახედი“ სასმელი ბლომად ჰქონდათ, მოვიდოდნენ ხასიათზე: გავიდეთ დათვებთან და იქნებ გვასესხონ თითო ვედრო შუქი.

თენდებოდა, უსინათლოდ მაინც...

მონტიორი გვყავდა ერთი, კუსოკას ეძახდნენ. რა ეტყობოდა კუსოკას? მაღალი, ხმელი კაცი იყო, დინჯი. არ მოვიდოდა სინათლე და ჩვენ, პატარები, სკოლიდან მომავლები — უფროსები მაღაზიასთან აყუდებულები: როდის მოვა სინათლე, მიშა პაპა? როდის მოვა სინათლე, მიშა ძია? გავაბეზრებდით კითხვებით. ის კი დინჯად — მოდისო, გზაშიაო.

გავიზარდე. ისე, რა გითხრათ, ახლა ყველაფერია, ხალხი აღარაა ოღონდ.

მე მაინც ველოდები სინათლეს, რომელიც მოდის, გზაშია.

ჯიუტად, მოთმინებით...

იყო ერთი კაცი

იყო ერთი კაცი, ვანო. ყოჩოს ეძახდნენ. კი იყო ყოჩივით. მოიხსნიდა დიდ, მსხვილბალთიან ქამარს, ამოსდებდა მოზრდილ ქვას და ეწეოდა კბილებით. თავის გამოსადებად კი არა, ისე, მუღამის გულისთვის.

მოიყვანა ცოლი და გალექსა ვანუა ყოჩომ:

„ავიღე ვალი,
ვითხოვე ქალი,
არ გამომადგა,
პანჩური ვკარი“.

რატომ ემდუროდა ცოლს, არ ვიცი, ჩემს ხსოვნაში ტკბილი ქალი იყო.

მოკვდა ყოჩო უცბად, 9 მაისს. მოვიდა დიდი თოვლი, შეკრა გზები. ნამქერს გამოსწრებული, მოკლეპერანგიანი ჭირის მოზიარეები კავკავებდნენ სიცივით. იდო თოვლი თეთრად, თეთრად აყვავებულ ტყემლებზე და ალუბლებზე.

მე კი მიხაროდა, არ მომიწევდა ლექსის წაკითხვა მთელი სოფლის თვალწინ „შინმოუსვლელთა ობელისკზე“, ხმამაღლა, გამოთქმით.

ისევ ვფიქრობ, რა აქვს საერთო ვალის აღებას ცოლის მოყვანასთან? მგონი, „ინანებ, არ ინანებ“-ს ჰგავს.

არ ვიცი, რომ მოვიყვან, გავიგებ...

და იყო ერთიც, როცა მოიკითხავდი, როგორ ხარო, გპასუხობდა, ამინდივითო.

ამინდი როგორი უყვარდა, არ ვიცი, დალევა უყვარდა, ჭუჭყის ხაზებჩამჯდარ, შესიებულსახიანს.

ვიდექით ერთ, ოქტომბრისთვის უჩვეულოდ ცივ დღეს — მე, ცოტნე და ის. ხმაური ისმოდა ქვემოდან. ჩხუბი გვეგონა და მოთქმა იყო. ახალგაზრდა იყო მკვდარი, გულით. რატომ არ წახვედი დაკრძალვაზეო — მკითხა. მეზარებოდა წასვლა მოტრიალედ, ხაშლამის გამო ისედაც წავიდოდა ბევრი. შევუბრუნე კითხვა, შენ რატომღა არ წახვედი-მეთქი? მეშინია მკვდრის, ვერ მივდივარ ახლოსო.

ვეწეოდით მის უფილტროს. მოვსუტავდი, გავაღვივებდი, დავილაპარაკებდი, დამიქვრებოდა. ვაფურთხებდი თუთუნის ნაფლეთებს.

„ისე, ერთხელაც არ დამსიზმრებიაო“, — გვითხრა, როცა მოთქმა მიჩუმდა და ჩვენც მოწევას მოვრჩით.

სიმამრზე ამბობდა, ნაჯახით ჰყავდა მოკლული რუსეთში.

მოკვდა ისიც. მარტო. როცა ზამთარი დაღმართზე დაეშვა.

ამინდი?! დნებოდა თოვლი, გადადიოდა ნიაღვრები...

ჩემეული აღსარება

არ ვიცი, დილით თუ ბინდისას მომიყვანენ შენთან, ღმერთო. ან ალალად გეტყვი ან დამაფქვევინებ:

დავიჭირე-მეთქი სხვის ცოლზე თვალი.

დავთოფე-მეთქი სახლში შემოვარდნილი, არც ვნანობ.

გავაკეთებდი უფრო ცუდს, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა და პატიოსნება დავარქვი-მეთქი.

კარგი იქნებოდა, წელგამართულს მეთქვა შენთვის, რომ არასოდეს გავმხდარვარ სხვისი ცრემლის მიზეზი, მაგრამ იმედს ვუცრუებდი მათ, ჩემი ზნის გამო, ვისაც ვუყვარდი. ამას ვნანობ მხოლოდ.

საყვედურიც დამცდებოდა კადნიერი, ვითომდა შენ შენი სიდიდით ჩვენ სიმცირეს ვერ ხედავ...

საყვედური, ოღონდ გაბუტული, პატარა ლეკვის წკმუტუნს გავდა.

მერე მივხვდი, ყველაფერში შენი გარევა არ შეიძლებოდა.

უღმერთო გარემოში ვეძებდი პატარა ღმერთს და გპოულობდი, ღვთისნიერ გარემოში კი დიდ ეშმაკს და ვერ ვხვდები, რატომ...

მეტყვი: შენ ცაში მეძებდი, დაგეხედა თუნდაც მიწისთვისო და დამინახავდი მეც.

შენამდე ადრე მოსვლას არ ვჩივი, პირიქით, მიხარია, იმათი წამოსვლა რომ ვერ ვნახე, ვინც მიყვარდა.

შენც შეიჭმუხნი ჩვენ ყურებაში გადათეთრებულ წარბებს...

მეც ჩამაგდებენ კუპრში და შემინთებენ ცეცხლს, ოღონდ დაბალს, როგორც არც ისე წყალწაღებულს.

ჩაფიქრდები შენც და მიხვდები, რომ არაა საკმარისი მილიონი წელი ადამიანებისთვის შენი და სამყაროს რაობის გასაგებად.

მე კი კუპრში გამთბარს გამიხარდება, ცეცხლზე შეშას რომ არ უმატებენ.

„არაკაცი“ ან „მეზობლის ცოლი“

წვიმდა ოქტომბრის იმ ნისლიან დღესაც, ვიჯექით ღუმლის გვერდზე და ადესას ღვინოს ვსვამდით. მჟავე იყო — „კაჭკაჭს დააჩხავლებდა“...

მაღლა ასახედი რომ მოგვირჩა...

ნათელა ხო გახსოვს, ოსი? გოგიას ცოლი, ჩვენი მეზობლის, „ჭლექის“, არ იყო წმინდა წყლის, „გორაობდა“ და „ფანტავდა“ ხან ვისთან და ხან ვისთან. ერთხელ მითხრა: არაკაცი ხარო.

რატომ-მეთქი, ვკითხე.

მთაში ეთესა „ჭლექს“ იმ წელს კარტოფილი. ამოღებას ვშველოდი, მაშინაც ბრმა კი არ ვიყავი ორთავ თვალიდან. სამნი ვიყავით, მე „ჭლექი“ და „ჭლექის“ ცოლი. ვრჩებოდით უკვე აკრეფას და დაგვანება „ჭლექმა“ თავი, წნიკიღა დარჩა. ორი მეშოკიღა აკრიფეთ და წამოდითო.

წავიდა თვითონ დალთველებისთვის შეშის ჩასატანად. დავრჩით მარტონი მე და ის ქალბატონი. ჯერ უკან მომდევდა, მერე კი წინ წავიდა...

გამისწორდება, წაიყუყება წინ, აჩენს ბარძაყებს, მუხლამდე მზემოკიდებულს, მაღლა კი თეთრს, თოვლივით თეთრს... წავაა, გაჩერდება ისევ...

მერე ჩამოჯდება და მრგვალი მუხლისთავებიდან გამხმარ მიწას იცლის, თან მომხედავს და მიყურებს...

მიყურებს და მიყურებს...

დამცხა, ავიჭერი, ხმელ ბელტებს ვყრიდი მეშოკში კარტოფილის მაგივრად. ვფიქრობ, წავწვდეეე, თან მეშინია, არავინ მომატანოს, სისხლი კი მცემდა შუბლში. კიდევ კარგი, მოგვადგა „ჭლექიც“.

იქიდან გზაში ქმრის გვერდზე მჯდომი გადმომხედავდა და ჩუმ-ჩუმად იცინოდა...

მერე, ბიჭი რომ დანიშნა, ვიჩხუბეთ, ვიწიეთ ერთმანეთზე, იმის ნათრევმა ცოლმა კი მომაძახა, არაკაცი ხარო!

ჩემს რძალს რაღა უნდოდა მეტი, რატომ გითხრაო?

რას ვეტყოდი?!

არადა, მერე იტყვიან, შინაურია, არ შეიძლებაო, თანაც არ გინდა, შეხედო ღმერთს გამურული სახით.

ისევ წვიმდა, ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ...

გარე-გარე მოსიარულე

ბიჭი კი არ ჭრიდა, გლეჯდა ბალახს. შეაწუხებდა წელი, ჩამოეყრდნობოდა პირგალეულ ცელს და ფიქრობდა. ვერაფერს უდებდა გულს, იჯდა და სვამდა მარტო, აკაციასთან, მაღაზიის ჩრდილში. მოწევდა და აგრძელებდა თიბვას. ფიქრობდა, დაღლილზე მკლავების ტეხვა სიცარიელეს დაავიწყებინებდა, სიცარიელეს, რომელიც დილით თვალის ახელისთანავე ასდევდა. ამიტომ არც უნდოდა, გათენებულიყო. სწავლა მიატოვა, მიაჩნდა, შეიძლება იცოდე ბევრი რამ, მაგრამ არა ის, როგორ გაუძლო და იცხოვრო. თუმცა აქაც ვეღარ პოულობდა ადგილს. გაგიჟდა მამამისი (არ აძლევს მაგის უტვინო თავი მოსვენებას ფეხებსო).

აღარ უთხრა მამას, აქაც არ ვარ კარგადო. თათრებს მინდა გავყვე, საზაფხულო საძოვარზეო.

გაირეკავდა ცხვარს, წამოწვებოდა გადაღმერთილი კუნლის ძირში და წაიკითხავდა. შეეძლო დაეძინა კიდეც, სანამ ბალახის ხმელი ღეროები ტანზე ჭიანჭველებივით დაუწყებდნენ კბენას. მზეც მოძებნიდა და შუბლს ოფლით დაუწვეთავდა. მოდღევდა და ჩამოცხა გატყეევებულ ბაღში. ჩერდებოდა და ოფლს მაისურის კალთით იწმენდდა. საერთოდაც მიაჩნდა, რომ მზე შემოდგომითაა კარგი, ზედ რომ მიგიფიცხებს, ანდა გაზაფხულობით, წითელ ალუბალს თეთრად რომ ააფეთქებს და არა ახლა, მწველი, შემაწუხებელი, მწვანე მინდორს შავად რომ ხრუკავს. დაიღლებოდა, ამოუვარდებოდა გული, ცელსაც ქვა გადაუბრუნებდა პირს. ჩერდებოდა, ამოიდებდა ცელს ლაჯებს შუა და ღესავდა სალესავის ნატეხით. არადა ის გოგო, აივანზე ფეხებშემოწყობილი, წიგნით ხელში — პატარა, მოხდენილი გაბუშტული ტუჩებით და დიდი თვალებით. რა იქნებოდა, მასაც შეჰყვარებოდა? დაენახა, თუ რამდენად მარტოა ბიჭი, შიშველი უამრავ ჩაცმულთა შორის. კინაღამ მოიჭრა თითი, ბალახის ფოთლითა და ნაღვლიანი ღიმილით შეიჩერა სისხლი. ცელი დაშალა და შეინახა. დიდხანს აკვირდებოდა ადგილს, ამ ბოლოს ბევრი რამ ავიწყდებოდა. ტყეტყე წამოვიდა სახლში, არ უნდოდა, არამკითხე მოსაუბრე გადაჰყროდა. მზე ისევ შემაწუხებლად აჭერდა ფიჭვის ტოტებიდან ოფლიან და ჭინჭრით დაფოთლილ ზურგზე. თავის ოთახში შესულს მთვრალი მამის საბანში ჩალაპარაკება მოესმა: „დადის გარე-გარე ლაჯაღებული ბოზი ქალივით“. ბიჭი ერთხანს გაირინდა, არაფერი უთქვამს. ოთახში შევიდა, ტახტიდან წიგნები გადაყარა და პატარა ძმის ტანსაცმელში გახვეული ცალლულა თოფი ამოიღო. ოთახიდან გამოსვლამდე დიდხანს უყურა საბანწაფარებულ მამას. ხევის პირზე ბებერ კაკალთან მისულმა თოფი გადატენა, ჩაიმუხლა და ნიკაპით ჩამოეყრდნო...

ღამეულ ნიავს მეზობლების სიცილისა და წყლის ლუკლუკის ხმა მოჰქონდა.

თვალნაჭერი

ამბობენ, რომ კარგი სიმთვრალე არ არსებობს. ზემოდან მაყურებელი ძველი ბერძნებიც დაათრობდნენ თურმე მონებს და აყურებინებდნენ შვილებს — ნახეთ, როგორია ღვინით წყალწაღებული კაციო. ზოგი სიმთვრალეში ტირის. ერთი სოფლიდან წასული ვიცი, ამოვა ბედის ანაბარ სახლში, დაღევს, დათვრება და სკდება ნიაღვარი სიბერით ამოღამებულ თვალებზე: „მენატრება დედა“. დედამისი მაღლა ხრიოკ გორაზე წევს, სძინავს შავი ძილით. მე დაღევა არც მჭირდება, დედის გახსენებაზე მევსება სატირლად გული. ასე ვარ ხშირად, დარდით გავსებულ გულს ცრემლით ვცლი ხოლმე. ზოგი სიმთვრალეში მუშტებზე იყურება, ახსენდება, სიფხიზლეში რომ არასათანადოდ დააფასეს. მოკლედ, რას გაიგებ. მე რას ვაკეთებ მთვრალი?! სწავლით თავს არ ვიკლავ, უაზრო ლექციის მოსმენას კითხვა და კურსელი გოგოების თვალიერება მირჩევნია. წაიკითხავ რამე კარგს, გადაადგებ თავს უკან და ჭერს შეჰყურებ, წაკითხულის გულთან მიტანას ცდილობ. თვალიერებაში შევიგულე ერთი, არც იტყღარჭებოდა და ისეც არ იცვამდა, დორბლი რომ გაგვარდნოდა კაცს. შეხედავდი და იწვოდა თვალებით. შუალედურ გამოცდაზე ბიბლიოთეკაში ვიჯექი და ვკითხულობდი. გამოცდაზე გასვლას არ ქონდა აზრი, უნდა მივსულიყავი და მეღრიჯა, დამეყარა კბილები ლექტორის წინ და მოვისმენდი მერე დამატებით ლექციას კარგად თუ სწორად ცხოვრების შესახებ. სხვა დარდი მქონდა (მენატრებოდა სოფელი, ისე მენატრებოდა, სადაც ყვითელ ფოთლებს ვნახავდი, ამოვკრავდი ფეხს და ვაფრიალებდი). იქ იყო ისიც, იჯდა და თაგორის „დღენი ჩემი სიჭაბუკისას“ კითხულობდა. ერთხელ ცხვარში წავიღე ეგ წიგნი, ნობელიანტიაო და დავფეთდი. არ დამაცადა წაკითხვა წვიმამ და ნისლმა.

გავბედე და მივადექი, რას კითხულობ-მეთქი. გამარჯობა-გაგიმარჯოს, ორიოდე სიტყვა ლიტერატურაზე. მიღიმოდა კია, მაგრამ თვალებით მეუბნებოდა — გაიარეო, რა. სხვა რა გზა მქონდა, მეც გავიარე. არ მოვუვედი თვალში. ისე, მეც მშვენივრად ვიცი, მოსაწყენი და უმარილო რომ ვარ. ასე რომ, არც ვოცნებობ, ვინმე ჩემს გამო დაფეთდეს. არ ვკეკლუცობ, მართლა გეუბნები, ჯერ კაცის კეკლუცობა რაა, ეხლა საკუთარ თავთანაც რომ კეკლუცობს, წასულია მისი საქმე. დამამატა ფეისბუქში, გამიკვირდა. ალბათ, არც ვახსოვდი და პროფილის სურათზეც არამიშავს. ძველი სურათია, მაშინ შუბლი არ მქონდა კეფამდე წასული და წვერიც არ მედგა ყვავის ბუდესავით. გავუგზავნე ვიდეო, ჭილაძის ლექსის — „შენ ხარ აქამდე,რაც უნდა მეთქვა, შენ ხარ ოთახში ჰაერზე მეტი“. ნახა მაგრამ, „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მე კი მოვუხშირე უნივერსიტეტში სიარულს და შორიდან თვალთვალი გავაგრძელე ისევ.

ვინც რა უნდა ის თქვას, სოციალურ ქსელს ერთი კარგი თვისება მაინც აქვს. გახსენებს, ვისი დაბადების დღეა. ეს კარგი რაღაცაა, იცი? ისეთი კაცისთვის, ვისაც დედის დაბადების დღე ავიწყდება, შეიძლება ნივთი ხელში ეჭიროს და ამ ნივთს თაროკუთხე დაუწყოს ძებნა. მილოცვის ტექსტის დაწერას რაღა უდგას წინ? თან ისეთის, ვითომდა მისთვის ბედნიერების სურვილის მეტი არაფერი მაწევდეს გულზე. ჰოდა, გავიგე მისი დაბადების დღის შესახებ. წვიმდა. პირველ სართულზე, მანქანის ბოქსებთან, დანგრეული კედლის ძირში ყვითელი ყვავილი მეგულებოდა. მაღალი, პატარა ფოთლებიანი. ამ ყვავილზე ბავშვობაში მჯეროდა, რომ თუ სახლში მივიტანდი, დედაჩემს ფუმფულა წიწილები დაეხოცებოდა. მე კი ვკრეფდი და ჩემს მეზობელს ვუყრიდი ეზოში. სულაც არ მეცოდებოდა მათი წიწილები, ხანდახან ბავშვები დიდებივით სასტიკები არიან, ოღონდ მათ ჩვენსავით ამის დამალვა არ იციან.

ვიარე კედელ-კედელ, არ მინდოდა, ვინმეს დავენახე. მოვწყვიტე ყვავილი და წამოვიყოლე მწერლის პორტრეტებიან დაფას ამოფარებული, წყალში ამოვლებული პატარა კნუტი. კნუტი პირველ სართულზე, დიზაინის ფაკულტეტზე დავტოვე. იქ უმეტესობა სტუდენტობისა გოგოა და გამოუჩნდებოდა პატრონი. მივუტანე ყვავილი აუდიტორიაში, გილოცავმეთქი. ჩვეულებრივი სახით, თითქოს ჩემი დიდი ხნის მეგობარი ყოფილიყო. სანამ რამეს მეტყოდა, გამოვბრუნდი. ბეჭებით ვგრძნობდი მისი მეგობრების ჩურჩულს და სიცილს.

ყვავილის მიტანა ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო და როგორც ეტყობა, მისთვის დასაბნევი. ჰოდა, ამის მერე დერეფანში შეხვედრისას მარიდებდა თვალს. შემოვიდოდა ბიბლიოთეკაში, დაჯდებოდა და მოსახვევს მუხლებზე იფარებდა. სიცივის გამო არა, ალბათ იმიტომ, ჭვრეტა რო არ დაეწყოთ შემფასებლური თვალებით. მე შენ გეტყვი, არ დაუწყებდნენ ყურებას?! მუხლები თეთრი, თეთრი, პირველი თოვლივით. მერე იცი, რაა? ცოდოა ქალი, როცა ის მორცხვი და მორიდებულია, ასე რომ უყურებ ხორცის ნაჭერივით. თუმცა არის მეორეც, შეხედავ და მოდის, ისე მოდის, რომ თვითონაც იცის, რომ ლამაზია, მოსწონს, რომ უყურებენ. მარა რა? ვიღაც ხეპრეს დააჯიჯგნინებს თავს, რომელსაც სულაც არ ეცოდინება მისი ფასი. ვიცი, დამცინი, ტრუბადურივით მოსთქვამ და მუზეუმის სუნი აგდისო. რა ვქნა ახლა, უჩემოდაც ბევრია ისეთი, რომელიც იმაზე ჰყვება, თუ როგორ ხელცქვიტობს ღამე საბნის ქვეშ. ჰგონია კიდეც, კარგად ვწერო, მართლად, მიზანში გარტყმით. არა, ისეთიც არ ვარ, შარავანდედი მედგას თავზე, უბრალოდ, მაგათ კითხვას, ტინტო ბრასის ფილმს ვუყურო, მირჩევნია, იქაც საკმაოდაა ხალხი, რაღაცები რომ ვერ მოუნელებიათ.

სულ კაბები ეცვა და ზამთარშიც თხელი ფეხსაცმელი. ყინვა ქვას რომ ხეთქავს. თოვლს თბილისს ვინ აღირსებს, აი, ყინვა კი გიყვარდეს. მინდებოდა, მივსულიყავი და მეთქვა: „არ გაცივდე, გოგო!“ ვუყურებდი, შორიდან მოფერების მომლოდინე ლეკვებმა რომ იციან ისე. კაცი ალალი კი არა, მორცხვი რომ გაჩნდება, აკვანში უნდა ამოახრჩო, თორემ გაიზრდება და თავის სიმხდალეს კარგ აღზრდას დაარქმევს. დავინახავდი, როგორ იღიმოდა შუქიანი ღიმილით და მინათდებოდა გული. წამომივლიდა ხანდახან, იქნებ მბჟუტავ ცეცხლზე წყალი არ დამისხას, მივალ და ვეტყვი: „შენ ზედაც არ მიყურებ, მე კი ძალიან მიყვარხარ“.

ახლა მეუბნები შენ, დაიბრმავა ერთხელ უკვე თვალი, ვეღარ დაინახავს ვერაფერსო. არადა, რა ვქნა?! ყველაზე კარგად ღრუბლებში ფრენა გამომდის. თანაც მირჩევნია, სულელი ვიყო, ვიდრე ფეხიდან მოცვეთილი. თუმცა მეც არ ვიცი ბოლომდე, რა არის კარგი და რა არის ცუდი. არც არავინ იცის — თუ ამბობს, ვიციო, იცის, ოღონდ უკვე მრავალჯერ ნამღერი და ნაღეჭი. სჯობს, გავაგრძელო. დასვენების წინ კურსელები რესტორანში წავედით. რესტორანში ის ისეთი ლამაზი იყო, დავინახე და შემიგუბდა გული. ჩემს თავს პირობა მივეცი, მეცეკვა მასთან, პირველად ცხოვრებაში. შენც ხომ მიცნობ, დაფასთან ვერ გავდიოდი ლექსის სათქმელად. ცოტა რომ აირია ხალხიც და სუფრაც, მივედი, შეძლება ვიცეკვოთ-მეთქი? გაიარეო, არ უთქვამს, მოერიდა, ეტყობა. ზურგით ისევ ვგრძნობდი მისი მეგობრების სიცილს. ვცეკვავდი და თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მასთან ერთად გვირილებით მოჩითულ მინდორში ვსეირნობდი. მესხმოდა თავბრუ მისი წელის გამო და მიწვავდა სახეს მისი თმები. როგორ ვცეკვავდი? ისე, როგორც ოჩოფეხებზე შემდგარი ბოსტნის საფრთხობელა. მითხრა კიდეც: „რიტმის შეგრძნება არ გაქვს...“

მომინდა, მზის სითბოთი სავსე მის გლუვ მხარზე მეკოცნა...

ცეკვას მოვრჩი და არაფერი ვუთხარი, ტყუილად მოვიღლიდი ენას. მივხვდი, ადამიანი მისი შენდამი დამოკიდებულების გამო უნდა გიყვარდეს და არა ლამაზი ღიმილისა და მრგვალი მუხლისთავების გამო. წამოვედი. არ მინდოდა, მენახა, როგორ იცეკვებდა სხვა ჩემზე უფრო მოხდენილად. ღამით გმირთა მოედანზე, ვიღაც სამხედრო ფორმიანს მიეშვირა ფეხი მარადიული ცეცხლისთვის და ითბობდა. არ მივაქციე ყურადღება, ისედაც ფიქრისგან მტკიოდა თავი. მე კი მთვრალი ცეკვას ვიწყებ, ამ ბოლო დათრობისასაც ვიცეკვე, დეკემბრის ცივ და მშრალ ღამეს, გამთენიისას. ისე ვცეკვავ, თითქოს მარტო ვიყო, გარეთ კი თბილი წვიმით წვიმდეს. ახლა სოფელში ვარ. იქნებ აქ ერთ ადგილას ყოფნით უფრო დავინახო სამყარო. ქვაც ხომ იქამდე იგორებს, სანამ მყუდრო ადგილს არ მოძებნის და გაჩერდება. შენ კი დაამატებ, ის ქვა მერე ხავსს იკიდებსო, თუმცა ჯერ მე გასაჩერებელი მოვძებნო...

გადმომძახებს ხოლმე ჩემი მოხუცი მეზობელი შოთა. თვალნაჭერი (ანუ შეყვარებული) არა გყავსო, ბიჭო? მე კი ალუბალზე ვფიქრობ — ცოდოა, ყვავის და არ იცის მარტის მზაკვრობის ამბავი. თუ, იცის და არ ეპუება?!



ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი

სალომე მაკარიძე

ოჯახი — სამყარო, რომელიც ითხოვს ყურადღებას, სიყვარულს, დროს, ენერგიას. ბიზნესი და პოეზია — ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული კიდევ ორი სამყარო, რომელიც ასევე მოითხოვს დროს, ენერგიას, ერთგულებას, არ უყვარს დათმობა. და ერთი ქალი, რომელიც სამივე სამყაროში თუ სამყაროთი ცხოვრობს და სამივეგან წარმატებულია. 2016 წელს საუკეთესო ლიტერატურული დებიუტისთვის ლიტერატურული პრემია „საბა“ მოიპოვა, ამ ნომინაციაში სწორედ ის გახდა ხალხის რჩეული. სალომე მაკარიძე გვესაუბრება იმაზე, თუ როგორია ცხოვრება ოჯახთან, ბიზნესთან და ლიტერატურასთან ერთად.

— თქვენს ბიოგრაფიაში, რომელიც „სიესტას“ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული, ამოვიკითხე, რომ ჰუმანიტარულმა სკოლამ, სადაც თქვენ სწავლობდით, მნიშვნელოვნად განსაზღვრა თქვენი შემდგომი ნაბიჯები ლიტერატურაში, ან შესაძლოა, გამოავლინა კიდეც თქვენში პოეტი. მიამბეთ იმ პერიოდზე.

— ასეა. ეს იყო მეექვსე საავტორო სკოლა, რომელმაც, დარწმუნებული ვარ, არა მარტო ჩემში, არამედ უამრავ სხვა ადამიანშიც გამოავლინა პოეტი, თუ პირდაპირი მნიშვნელობით არა, გადატანითი მნიშვნელობით მაინც.

1985-1996 წლებში, იმ დროს, როცა სკოლაში ვსწავლობდი, ჯერ კომუნიზმის მშენებლობის და მერე დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდი იდგა. მეექვსე საავტორო სკოლა თავისუფლების, ადამიანური ღირებულებების და იმ დროისთვის საოცრად თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და ურთიერთობების ადგილი იყო.

რაც შეეხება ქართულ ენასა და ლიტერატურას, ისეთი ადამიანები მასწავლიდნენ, რომ შეუძლებელი იყო, არ შემყვარებოდა ლიტერატურა. რაიმე ლოგიკის ან მნიშვნელობის გარეშე ჩამოვთვლი — მერი ტორაძე, ნინო გორდელაძე, ბაკურ სულაკაური, მაია ფუთურიძე, რეზო იუკურიძე, ნინო რამიშვილი და სხვები.

დაბოლოს, სკოლაში გავიცანი პაკო, ამირან სვიმონიშვილი, პოეტი — ჯერ ჩვენს სკოლაში სწავლობდა, მერე კი მასწავლებელი გახდა.

პირადად მე არ მასწავლიდა, მაგრამ ის ჩემთვის პოეზიისა და პოეტის განსახიერება იყო. ჰოდა, ამ პოეტმა ერთ მშვენიერ დღეს მითხრა, რომ ჩემი ლექსი ძალიან მოეწონა. მისი ყველაზე მეტად მჯეროდა, იმიტომ, რომ ტყუილის თქმა არ იცოდა. თან, სულ მეშინოდა, რომ ნაწერებს დამინუნებდა.

რომ გავიზარდეთ, ძალიან დავმეგობრდით. სწორედ პაკო დამეხმარა ლექსების გამოსაცემად მომზადებაში.

— პროზაში მუშაობა არ გიცდიათ?

— პროზის წერა ახლა დავიწყე და ვფიქრობ, ოდესმე ბოლოშიც გავალ. „საბაზე“ ნომინირების მერე ისე მომემატა ძალა, გადავწყვიტე, ესეც მეცადა. პროზა და პოეზია ხომ ძალიან განსხვავებულია. ლექსი, ჩემ შემთხვევაში, უცებ იწერება, რაღაც განწყობიდან ჩნდება, მოდის და უკუკავშირსაც მალევე გაძლევს. როგორც კი სხვას გაუზიარებ, დამოუკიდებლად იწყებს ცხოვრებას და იმ ცხოვრებით შენც გმატებს ენერგიას.

პროზას კი მეტი დრო სჭირდება და სხვანაირად იწერება. ხშირად დამიწყია წერა, მაგრამ ბოლომდე არ მიმიყვანია, რადგან ერთსა და იმავე განწყობაზე, ხასიათზე, ცხოვრების ეტაპზე დიდხანს არ დავრჩენილვარ, მწყინდებოდა.

ყოველთვის მინდოდა, წერის იმ სტილისთვის მიმეგნო, რომლის საშუალებითაც მუშაობის პროცესში არ მომწყინდებოდა. პირიქით, ვიმოგზაურებდი, საგნებს გავაცოცხლებდი, წვრილმანებს დატვირთვას მივცემდი და, მგონი, მივაგენი.

ასე მგონია, ახლა ვწერ ისეთ პროზას, რომელშიც მაქვს თავისუფლება, გავაცოცხლო ყველა და ყველაფერი. ის ყოველდღიური სამყაროც, რომელიც ხან მსუბუქი და ხან მძიმეა, ზღაპარს დავამსგავსო. ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, არ ვიცი, რა გამოვა, ვნახოთ.

როგორც ჯემალ ქარჩხაძემ თქვა — როცა ჩვენს შემოქმედებით უღრანებში დავძრწინთ, როგორებიც უნდა ვიყოთ და როგორიც უნდა იყოს ჩვენი უღრანები, ჩვენ შემოქმედები ვართ, მაგრამ მთავარია, ზედაპირზე რას ამოვიტანთ. ჰოდა, გამოჩნდება. შეიძლება ვერც ვერაფერი ამოვიტანო, შეიძლება რამე ღირებულსაც მივაგნო.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დრო არ მაქვს საწერად, ბოლოში მაინც გავალ. წერის პროცესი მავსებს და იმედია, შედეგი სხვასაც აავსებს.

— ერთია, როდესაც ქალი თავისთვის წერს ლექსებს. სულ სხვაა, როცა ის აქტიურად მუშაობს ბიზნესსექტორში და იმავე დროს სერიოზულ წარმატებას აღწევს ლიტერატურაში და მისი ლექსების კრებულს, როგორც წლის საუკეთესო დებიუტს, პრემია „საბას“ ანიჭებენ. როგორ ახერხებთ წერას ასეთი დატვირთული, როგორ ატყუებთ დროს?

— დროის მოტყუება, ალბათ, კარგი ნათქვამია. ჩემ შემთხვევაში, ლექსი მართლაც ისე იწერება, რომ სულ არ მეკითხება, ვახერხებ თუ ვერა; ტიციან ტაბიძისეული „ლექსი თვითონ მწერს“ სწორედ შესაბამისია.

„უდიდესი მოტივაცია მაქვს“

სხვა საკითხია კრებულზე მუშაობა, ამას მეტი დრო სჭირდება — შეკრება, დახარისხება, რედაქტირება — თუმცა ვერლიბრს აღარც ვარედაქტირებ, მხოლოდ ახლო მეგობარს ვაკითხებ და ის მაძლევს რჩევებს — გამომცემლობისთვის მიმართვა, გამოსაცემად მომზადება. როგორც გითხარით, წიგნის გამოცემაში პაკო დამეხმარა. და ალბათ იმის გამოც, რომ ძალიან დაკავებული ვარ, კრებულს წელიწადზე მეტ ხანს ვამზადებდით „სიესტასთან“ ერთად. „სიესტას“ გუნდი ერთი წლის განმავლობაში გვერდში მედგა, მათ სჯეროდათ, რომ წიგნი შედგებოდა.

ახლა კიდევ დამიგროვდა ახალი ლექსები — არიან თავისთვის და როდესაც თავს მოვაბამ ან როცა ისინი თვითონ მომადგებიან და შემაწუხებენ, მათაც მოვამზადებ გამოსაცემად.

რეალურად, ჩემი ძირითადი საქმიანობა მენეჯმენტ-კონსალტინგია, ერთ-ერთი კომპანიის თანამფლობელი ვარ, კონსულტაციებს ვუწევთ სხვა კომპანიებს, რათა მათ შედეგები გააუმჯობესონ. სამსახურის გარდა, სხვებიც არიან, ჩემი დრო რომ სჭირდებათ — ოჯახის წევრები.

ლექსი, ალბათ, ყველგან შეიძლება წერო. აი, მაგალითად, წიგნში შესული ერთ-ერთი ლექსი ასე დაიწერა: სანამ დავიძინებდი, რაღაც მნიშვნელოვანი განვიცადე, ღამით გამეღვიძა, ოღონდ ბოლომდე არ გამოვფხიზლებულვარ, ნახევრად მძინარე წამოვჯექი, ფურცელი და კალამი საწოლთან მედო, დავჯღაბნე რაღაც და ძილი გავაგრძელე.

დილით რომ დამხვდა, იმ ლექსში ერთი სიტყვაც არ შემიცვლია, არ იყო საჭირო, ისე დაიბეჭდა.

ლექსის წერას დრო არ სჭირდება. თუ დასჭირდა, უკითხავად წაგართმევს. სხვა გზას არ დაგიტოვებს.

რაც შეეხება პროზას, აქ სხვანაირადაა საქმე. ხანდახან წერა ისე მექაჩება, რომ იძულებული ვხდები, დღის განმავლობაში ნახევარი საათი მაინც გამოვნახო ამისთვის. პროზაში ალბათ რეჟიმი და რეგულარული მუშაობაც მნიშვნელოვანია. ადრე ვიღვიძებ და გვიან ვიძინებ, შუალედებში ცოტ-ცოტას ვწერ, შაბათ-კვირასაც — როცა ბავშვს ცეკვაზე დავტოვებ და ველოდები; ასევე, სამსახურში წასვლამდე — როცა დილით თხუთმეტი წუთი ყავას ვსვამ. ზაფხულში კიკეთის გრძელი საღამოებისას უფრო მეტს ვწერდი, ახლა ინტენსიობამ იკლო, თუმცა მთავარია, მუდმივად რაღაც მაინც ვწერო.

საბოლოო ჯამში, როცა ყველაფერი კარგადაა და საკუთარ თავს არ ვაწვალებ — რადგან რასაც უნდა გთავაზობდეს გარემო, არ ვგულისხმობ ტრაგიკულ შემთხვევებს, მჯერა რომ მაინც შენს ხელთაა, საკუთარ თავს როგორ მოეპყრობი — ენერგია ბევრი მაქვს.

თანაც, როგორც დავასკვენი, მრავალფეროვნება ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჰოდა, ვარ ასე, ჟონგლიორივით. მე მგონი, ეს სიტყვა ყველაზე კარგად შეესაბამება სიტუაციას.

შეიძლება ცოტ-ცოტას ყველა საქმეს ვაკლებ — ლიტერატურას, ბიზნესს, შვილებს. ერთ-ერთზე რომ მომეხდინა კონცენტრირება, იქნებ მეტი შედეგი მიმეღო, თუმცა შეიძლება — არც.

ბოლომდე არ ვარ გარკვეული, ყველაფერი ეს ერთმანეთის, საკუთარი თავის, რომელიმე საქმის ხარჯზე ხდება თუ პირიქით, ავსებს ერთმანეთს. ამას დრო გვაჩვენებს.

— მაინც რამდენად სერიოზულად უდგებით თქვენს მეორე ცხოვრებას — შემოქმედებას?

— ამაზე ორი პასუხი მაქვს. შემოქმედება ჩემი განუყოფელი ნაწილია, ვერც პირველ და ვერც მეორე ცხოვრებას ვერ დავარქმევ.

შემოქმედებითი საქმიანობა კი სხვა რამეა და მართლაც გამოდის, რომ დღეს შემოქმედება ჩემთვის მეორე ცხოვრებაა, ძირითადი, ბიზნეს საქმიანობის შემდეგ.

თუმცა პოეტობა, შემოქმედება, ის რაც შენს შიგნითაა, არსად მიდის, არანაირ სიტუაციაში. თუ მუსიკოსი ხარ, მუსიკა ალბათ მაშინაც გესმის, როცა, მაგალითად, ბიზნეს სტრატეგიაზე ან ფინანსურ მოდელებზე მუშაობ.

სკოლას რომ ვამთავრებდი, გამიჭირდა პროფესიის არჩევა, წარმოდგენა არ მქონდა, სად უნდა ჩამებარებინა, რამდენიმე მიზეზის გამო — ბევრი რამ გამომდიოდა, მათემატიკაც მიყვარდა და ლიტერატურაც, ვხატავდი კიდეც და მოკლედ, მივედ-მოვედებოდი. როცა ვარჩევდი, სად გამეგრძელებინა სწავლა, ერთადერთი, რაზეც არ მიფიქრია, ფილოლოგიის ფაკულტეტი და მასთან დაკავშირებული საგნები იყო, რადგან ლექსის წერა პროფესიად ვერაფრით წარმომედგინა, მას ჩემს ნაწილად აღვიქვამდი, როგორ ვთქვა, ლექსები მე ვიყავი, მაგრამ ვერაფრით წარმომედგინა, რომ ეს შეიძლებოდა „საგარეო“ საქმიანობად მექცია.

დღემდე არ ვიცი პასუხი შეკითხვაზე — მაშინ რომ ლიტერატურასთან დამეკავშირებინა ჩემი ცხოვრება, რა მოხდებოდა. თუმცა, მახსოვს ჩემმა ქართულის მასწავლებელმა როგორ დაჟინებით მირჩია, ყველაფერი დამევიწყებინა და ფილოლოგი გავმხდარიყავი.

მახსოვს, იმ წელს, ზაფხულის დასაწყისში ქუჩაში დავბოდიალობდი და ვფიქრობდი, ხომ არ დავივიწყო საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი — (იქ ჩაბარება ჩემმა მშობლებმა მირჩიეს და პრინციპში, მეც ვეთანხმებოდი) და მაგალითად, სამხატვრო აკადემიაში, ან სამსახიობოზე, ან სადმე სხვაგან ჩავაბარო-მეთქი.

საბოლოო ჯამში, საერთაშორისო ურთიერთობები შევისწავლე, მერე სტიპენდიით გერმანიაში, ეკონომიკის ფაკულტეტზე და „დოიჩე ბანკში“, სტაჟირებაზე მოვხვდი. ჩემი საბანკო კარიერაც იქიდან დაიწყო.

სანამ გერმანიაში გავემგზავრებოდი, მნიშვნელოვანი რაღაც მოხდა. ერთ დღეს პაკო სვიმონიშვილი და რატი ამაღლობელი შემხვდნენ ქუჩაში, მელიქიშვილზე, ახლა რომ ჰარდ-როკ კაფეა, იქ ისხდნენ. მითხრეს, პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე ვიყავით — მგონი, სერბეთში, — იქ მონაწილეები ასახელებდნენ ორ პოეტს თავიანთი ქვეყნიდან, მათ, ვინც მომდევნო წელს ფესტივალზე უნდა გაემგზავროსო. მითხრეს, რომ ჩემს დასახელებაზე ფიქრობდნენ და რომ მელიქიშვილზე ბედად ჩავიარე. შემომთავაზეს წასვლა. ეს უზარმაზარი სიხარული იყო ჩემთვის. თუმცა, იმ ზაფხულს გერმანიაში მივდიოდი სასწავლებლად, თან შეყვარებული მყავდა, ჩემი მომავალი ქმარი, რომელიც თბილისში რჩებოდა; ფესტივალზე რომ წავსულიყავი, თბილისიდან უფრო ადრე მომიწევდა გამგზავრება. არადა მაშინ ყოველ დღეს მნიშვნელობა ჰქონდა და — უარი ვთქვი.

ვიფიქრე, ჯობდა, მთელი ენერგია სიყვარულისთვის დამეთმო. მერე დავქორწინდით კიდეც და უცნაური რამ მოვთხოვე საკუთარ თავს — ლექსები აღარ დამეწერა და ყველაფერი იმ დიდი ერთობისთვის მიმეცა, რასაც მე და ჩემი ოჯახი წარმოვადგენდით. ეს არავის უთხოვია, თვითონ გადავწყვიტე.

არ ვიცი, რაღაც ექსტრიმი მინდოდა, ან ვფიქრობდი, რომ ლექსები იმ ცხოვრების ნაწილი იყო, რომელიც აღარ მაინტერესებდა, მთრგუნავდა კიდეც. ალბათ, უფრო მეორე.

ასე იყო თუ ისე, 2000-დან 2008 წლამდე ბანკში ვმუშაობდი და არ ვწერდი. სამი შვილი გავაჩინე, საოცარი, მზის სხივივით არსებები. არ მომერიდება, რომ ვთქვა, როგორი გამორჩეული და კეთილშობილი ადამიანები არიან. ასეთები გაჩდნენ. იმ შემოქმედებით პაუზას ახლა რთულად ვიხსენებ.

ჩემი მესამე შვილი ორი წლის რომ იყო, ლექსებმა ისევ ამოხეთქა.

განვლილს, ცხადია, არ ვნანობ, რადგან ყველაფერს თავისი დრო და ფასი აქვს. ბანკში მუშაობისას უამრავი რამ ვისწავლე და ბევრი მეგობარი შევიძინე. იმ გამოცდილებით 2012 წელს საკუთარი ბიზნესი წამოვიწყე საინტერესო ადამიანებთან ერთად. მათთან მუშაობა მახარებს, გამოწვევები მიზიდავს. ამ საქმიანობას ის შემოსავალიც მოაქვს, რომელზეც წლების განმავლობაში ნაწილობრივ დამოკიდებული გახდა ჩემი დიდი ოჯახი და რომლის გარეშეც ახლა უფრო რთულად ვიარსებებდით.

ზუსტად ვიცი, რომ რა გზაც უნდა ამერჩია, მაინც დავწერდი, მაგრამ არ ვიცი, ბედნიერი ვიქნებოდი თუ არა, ლიტერატურა პროფესიად რომ მექცია. შეიძლება ამ შეკითხვას პასუხი ახლა არც უნდა გავცე. ვფიქრობ, ერთი ადგილიდან მეორეში გადანაცვლება მჭირდება და





დღეს ამას ვახერხებ. არ ვიცი, მხოლოდ ლიტერატურაში რომ მემუშავეა, სად გადავინაცვლებდი.

თუმცა ეს ჩემი წარმოდგენებია და რადგან არ გამომიცდია, შეიძლება მცდარიც იყოს.

უდიდესი მოტივაცია მაქვს, ბოლომდე მივიყვანო ის, რასაც ახლა ვწერ და თუ საკმარის ენერგიას ჩავდებ, ღირებული უნდა გამოვიდეს.

დანარჩენი გამოჩნდება.

— ვიცით, რომ ქალ ავტორებს ხშირად უწევთ რაღაც-რაღაცების დათმობა, ისინი მუდამ დგანან არჩევანის წინაშე. ბევრ რამეზე ამბობენ უარს და ხშირად ესეც იქცევა ხოლმე ინსპირაციად მათი შემოქმედებისთვის. ლიტერატურა ერთგულებას ითხოვს. თქვენ თუ გამოგიცდიათ მსგავსი რამ? იმ წლებს არ ვგულისხმობ, ნებაყოფლობით რომ თქვით უარი წერაზე.

— მიჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა.

კარგ შემთხვევაშიც კი, ქალს რამდენად ძლიერი მხარდაჭერაც უნდა გქონდეს, თუ მუშაობს ან საკუთარ საქმეს მართავს, მაშინ მამაკაცზე ნაკლებად დატვირთული არ არის. სახლში კი ფუნქციების გადანაწილება ბოლომდე მაინც ისე ვერ ხერხდება, როგორც ისურვებდა.

კიდევ, დედა დედაა და ამ ფენომენს ვერაფერს უზამ. დედის წილ ყურადღებას სხვა ვერ ჩაანაცვლებს. შვილების ცხოვრებაში მამის ან დედის როლის მეტ-ნაკლებობაზე არ ვლაპარაკობ, უბრალოდ, ვამბობ, რომ მათი როლები ალბათ მაინც განსხვავებულია.

კიდევ, ქალმა თავს უნდა მოუაროს, ფორმაში იყოს — კაცმაც უნდა მოუაროს თავს — და თუ წერაც უნდა, ეს უკვე მარტივი აღარაა, თუმცა მაინც შესაძლებელი მგონია.

მოკლედ, ზოგადად არ არის ადვილი, იყო საქმიანი ქალი, მშობელი და მწერალი. თუმცა ადვილი ბევრი რამე არ არის.

ქალი რომ ვარ, ამას არასდროს არაფრის მიღწევაში ხელი არ შეუშლია ჩემთვის. აღქმაშიც კი არ მქონია არასდროს, რომ შეიძლებოდა ამას ჩემთვის ხელი შეეშალა. ალბათ, გამიმართლა.

— თუ გყავთ რჩეული ავტორები, რომელთაც ხშირად უბრუნდებით?

— სულ ვცდილობ, ახალი წიგნები ვიკითხო. როცა პატარა ვიყავი, უფრო ხშირად, განმეორებით ვუბრუნდებოდი საყვარელ ავტორებს, მაგალითად, ვაჟა ათასჯერ მქონდა წაკითხული, ფრანსუა ვიიონის, გიორგი ლეონიძის, მირზა გელოვანის ლექსები სულ თავში მიტრიალებდა. სხვანაირი წიგნებიც — „ბეჭდების მბრძანებელი“, ეგზიუპერის ნაწარმოებები. ბავშვობიდან მოყოლებული, ბევრჯერ მაქვს წაკითხული სახარება. ჯერ კიდევ ჟურნალში იყო დაბეჭდილი, ჩემს სახლთან, გაზეთების ჯიხურში, პირველად რომ ვიყიდე.

საწოლის თავთან ხშირად სხვადასხვა წიგნი მიდევს, მათ ნაკრებს მეც და ოჯახის წევრებიც „აჯაფსანდალს“ ვეძახით. მაგალითად, ბოლო კომბინაცია, რაც მახსენდება, სასაცილოა — „ოდისეა“, პაკოს „სამკვიდრო“, „შიმშილის თამაშები“, „წვრილმანების ღმერთი“, სახარება და კიდევ რამდენიმე ტექნიკური წიგნი.

ახლა, რამდენიმე თვეა, წიგნებს თავთან არ ვიდებ, რადგან თუ დრო მაქვს, კითხვას წერა მირჩევნია.

მაშინ ვკითხულობ, თუ ძალიან მოვიწყინე.

— გახსოვთ პირველი შეხება ლიტერატურასთან, პირველი შთაბეჭდილება, პირველი გმირები?

— პირველი შეხება ლიტერატურასთან ალბათ ის საღამო იყო, საწოლში რომ ვიწექით მე და ბებია და „ვეფხისტყაოსანს“ მასწავლიდა, მახსოვს, „ჯდა მტირალი” ზედსართავი მეგონა და ერთ სიტყვად აღვიქვამდი. ჯდამტირალი, მის მნიშვნელობას ვერ ვხვდებოდი; „შავი ცხენი სადავითა“ კი ასე მესმოდა — შავი ცხენისა დავითა. ვერაფერი გავიგე, მაგრამ ის მელოდია დამამახსოვრდა, რომელიც ბებიას წარმოთქმულ სტროფს ახლდა.

დედას წაკითხული „შვლის ნუკრის ნაამბობიც“ მახსოვს.

პირველი ლექსი ხუთი წლისამ დავწერე. დედაზე იყო. დედას მივეცი ის ლექსი, გვერდით კი ბებია ედგა. ჰოდა, შემებრალა ბებია, მასაც დავუწერე — იმავე ლექსში „დედის“ ნაცვლად „ბები“ ჩავსვი. ასეთი ლექსები, ალბათ, ბევრს დაუწერია.

— სანამ „ჩვენ“ გამოიცემოდა, რამდენად ინტენსიურად წერდით ლექსებს?

— პერიოდულად ვწერდი. პირველი პოეზიის საღამო 18 წლის ასაკში მქონდა. ბევრი ხალხი მოვიდა, მათ შორის — ჩემთვის გამორჩეულად მნიშვნელოვანი სტუმარიც, რომელმაც ეჭვის თვალით შემხედა, როცა საღამოზე დავპატიჟე. პაკოზე ვყვები. მოსვლა არ უნდოდა, რადგან, როგორც მივხვდი, უხარისხო პოეზია თრგუნავდა. მაშინ არ მესმოდა მისი, თუმცა ახლა მეც უზომოდ მთრგუნავს უხარისხო ლიტერატურა. ნაკლებად ხარისხიან მუსიკას კიდევ ავიტან, მაგრამ მსგავსი ლიტერატურა, უბრალოდ, ცუდ ხასიათზე მაყენებს. ბოლოს, პოეზიის საღამოზე პაკო მაინც მოვიდა და მითხრა, თურმე მართლა პოეტი ყოფილხარო. ახალგაზრდა რომ ხარ, ასეთი სიტყვები შეიძლება მთელი სიცოცხლე დაგამახსოვრდეს.

— ბევრი მწერლისგან მომისმენია და წამიკითხავს კიდეც, რომ შემოქმედის ცხოვრებაში ერთ-ერთი ურთულესი გადაწყვეტილებაა — შეელიოს თავის ნაწერს და გაუზიაროს მკითხველს. თქვენ როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება?

— ზოგჯერ ვფიქრობდი, აუცილებლად უნდა წავაკითხო სხვებს-მეთქი, ხანაც მეჩვენებოდა, რომ ის ლექსები მხოლოდ ჩემი იყო, რომ სამყაროსთან ასე ვურთიერთობდი და არ ღირდა გასაჯაროება. მერე ნელ-ნელა მაინც დავიწყე — ჯერ „ფეისბუქით“, ბოლოს კი ისევ და ისევ პაკომ მითხრა, აუცილებლად უნდა გამოსცეო. მაშინ დავპირდი, რომ წიგნს გამოვცემდი.

— რამდენად მნიშვნელოვანი იყო „საბა“ თქვენთვის, რა განცდა გქონდათ კონკურსის მონაწილე რომ გახდით და როგორი იყო საბოლოო შედეგის მოლოდინი?

— „საბა“ დიდი ამბავია! ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა მითხრა, წიგნის ცხოვრება პრეზენტაციის მერე, გაცილებით გვიან იწყებაო. მირჩია, წიგნებიც მომემარაგებინა. მე კი დიდად არ დავუგდე ყური და ვიფიქრე, პრეზენტაციით ყველაფერი დამთავრდა, მოვიდნენ ადამიანები, ახლობლები, მეგობრები, შეიძინეს წიგნი, წაიკითხეს და მორჩა-მეთქი. ეს ჩემი წიგნი ახლა თავისთვის ცოცხლობს, სადღაც, მაღაზიების თაროებზე.

ტრენინგს ვატარებდი და შესვენებაზე „ფეისბუკში“ შევედი, უამრავი მესიჯი დამხვდა, რა ხდება-მეთქი, ვიფიქრე და აღმოვაჩინე, რომ „საბაზე“ ნომინირებას მილოცავდნენ.

საოცარი სიხარული იყო, მოულოდნელი და ძალიან დიდი. ბევრმა ადამიანმა დამიჭირა მხარი, ბევრმა გააზიარა ინფორმაცია.

გამარჯვების მოლოდინი არ მქონდა, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ლექსები კარგია, მაგრამ არა უმაღლესი ხარისხის. ის, რომ წიგნი რჩეულთა შორის მოხვდა, ჩემთვის მოულოდნელობა და დიდი სიხარული იყო.

„საბამ“ უდიდესი ძალა მომცა, უფრო სწორად, რაღაცნაირი თავისუფლება, ისეთი, რომ წელში გამართულმა ვილაპარაკო ჩემს შემოქმედებაზე. მომცა ძალა, რადგან ვიღაცისთვის ჩემი წიგნი აღსანიშნავი აღმოჩნდა. და კიდევ, „საბას“ მიმდინარეობისას დიდი სიყვარული ვიგრძენი ადამიანებისგან.

— წელს „საბას“ ორი პოეტი ლაურეატი ჰყავს — ბესიკ ხარანაული და თქვენ. ეს ალბათ ბევრს ნიშნავს თქვენთვის.

— იცით, ამაზე ახლა პირველად დავფიქრდი. მანამდე კავშირი ამ ფორმით არ დამინახავს. და რადგან აღმოჩნდა, რომ წლევანდელ „საბას“ ორი ლაურეატი პოეტი ჰყავს და ერთ-ერთი ბესიკ ხარანაულია, ეს ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავს.

— რატომ შეარჩიეთ კრებულის სახელწოდებად „ჩვენ”?

— ეს ერთ-ერთი ლექსის სათაურია და ერთობას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ სიმარტოვის განცდა არაერთხელ მქონია, მაინც ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მარტო არ ვარ, არ ვართ, რადგან თუ მარტო ხარ, ყოველთვის შეგიძლია სხვაზე იფიქრო, სხვას დაეხმარო და მარტო აღარ იქნები. თუმცა ამას რომ ვამბობ, ისეთი ადამიანები მახსენდება, რომლებისთვისაც სიმარტოვე განაჩენივით იყო. მაინც ვფიქრობ, გახსნილი თუ იქნები, თუ ვინმეს დახმარებას ითხოვ ან პირიქით, ვინმესთვის გადადებ თავს, მარტო აღარ იქნები.

„ჩვენ“ არის ადამიანების, დედების, მამების, ბებიების, ბაბუების, შვილების, მეგობრების, ნაცნობების ერთობა და მათიც, ვისაც არ ვიცნობთ. ადამიანებს შორის არსებული კვანძების, კავშირების ერთობაა „ჩვენ“. ყველანი ერთმანეთზე გადაბმული ვართ, მათზეც, ვინც ჩვენამდე იყო და ვინც ჩვენს მერე იქნება. ჩვენი ფიქრებიც, ენერგიაც — ყველაფერი კავშირშია და არაფერი იკარგება.

— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი გზა ლიტერატურაში, სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— ვფიქრობ, დავწერო პროზაული ნაწარმოები. დანარჩენს დრო გვაჩვენებს. ძალიან მინდა, პროზა შედგეს. იმას ვგულისხმობ, რომ ადამიანებმა წაიკითხონ და წიგნიდან რაღაც მიიღონ. შემდეგ იმ წიგნს ახალი შეხვედრები, ახალი ურთიერთობები, ემპათია და გაზიარება მოჰყვეს.

ლექსების წერას კი ვაგრძელებ, უფრო სწორად, ლექსები აგრძელებენ საკუთარი თავის წერას.

ესაუბრა თამარ ჟურული

ნინო კაკაჩია

ენქიდუს დაბრუნება

ქარები გასცდნენ უღელტეხილებს,
ურუქის გზაზე კანიბალივით
ხვატი ჭამს ქოჩორს სარეველების
და ჭრიჭინები აყრუებენ იქაურობას.
სანახებიდან მგზავრი მოდის — არურუს ძეა,
უიარაღო, ავსებული შამჰათის ვნებით,
და მხრებით მოაქვს ლატერნები, ბზა, ორქიდეა,
გვერდიგვერდ ახლავს სიყვარული, სიცოცხლე, ღმერთი.

საბრალონი

სუსხი პლედივით შემოიცვეს გზატკეცილებმა,
ალბათ კერტები ეყინებათ ახლა ჯაფარებს.
ჩვენ ამ ღამესაც, ვიცი, რომ არ დაგვეძინება,
ჩვენ ამ ღამესაც ერთმანეთზე ფიქრში გავათევთ.
დილას ქალები გამოფენენ ნუშებს, ლილიებს,
გადაივსება პორტიკები ცოლებით, ქმრებით
მაგრამ შიგნიდან გატეხილი იქნება ის დღე
და ჩვენ იმ დღიდან გარეთ გასვლას მოვერიდებით.

გამგზავრება

მზე ჭაღივით ქანაობს ბამბის პლანტაციებზე,
ქალებს მიაქვთ სადილი ტანშიშველი გლეხების.
ჩვენ მივდივართ შორიშორს, როგორ გვაპატიებენ
ამ სიშორეს წვიმები და თაკარა დღეები.
ჟოლოსფერი არის ცა, ეს ცა ჩვენი ჰოლია.
ძველ სიმღერას მღერიან მოლოზანი დედები.
მართალია შორიშორს, მაგრამ ერთად მოვდივართ,
შენ მავსებ და მამშვიდებ, გულზე ისე მედები.
მზე ჭაღივით ქანაობს, მზე თვალებშიც ჩაგვიდგა,
მოჩანს მატარებლიდან კარტოფილის მინები.
აქ იწყება სოფელი ჩვენი სემირამიდას,
აქ ვთავდებით ვიცი და აქედანვე ვიწყებით.

ეიფორია

ისევ წვიმს და ლავანდებისფერი
ცა თავისკენ ეზიდება ქალაქს.
ჩვენ დავკარგეთ ერთმანეთიც, ღმერთიც,
ჩვენ დღეიდან აღარავინ არ გვყავს.
სველ ხეებმა შემოიცვეს ჯანღი.
ცა საცაა დაემხობა ქალაქს...
ის, რაც იყო, გახსენებად არ ღირს...
ჩვენ დღეიდან აღარავინ არ გვყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასრულყოფილი კრიტიკოსები

ტომას სტერნზ ელიოტი

დასასრული
დასაწყისი №184

ადგილობრივი გემოვნება

მსოფლიოში, რომლისთვისაც უმთავრესი ამოცანაა საკუთარი არაფერი გამოეპაროს, კმაყოფილების მომგვრელია იმის ცოდნა, რომ არსებობს თუნდ ერთი კაცი, ვისაც არამარტო წაუკითხავს, არამედ მოსწონებია და არამარტო მოსწონებია, არამედ წაუკითხავს კიდეც ისეთი ავტორები, როგორებიცაა პეტრონიუსი და ჰერონდასი. ეს გახლავთ მრ. ჩარლზ ვიბლი და ორი რამ უნდა განვაცხადოთ მასზე — რომ იგი არ არის კრიტიკოსი, და რომ იგი ისეთი რამაა, რაც ლამის ისევე იშვიათია, თუ არა ისევე ძვირფასი. მას აშკარად ბევრი რამ წაუკითხავს და მოუწონებია ინგლისურ ლიტერატურაში, და ყველაზე მეტად მოუწონებია მისი ნაწილი, რაც დიად საუკუნეთა ლიტერატურაა, XVI და XVII საუკუნეებისა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრ. ვიბლის არ გამოუთქვამს თუნდ ერთი მნიშვნელოვანი ორიგინალური აზრი რაიმეზე ამ ლიტერატურიდან. მეორე მხრივ, განა რამდენს მიუღწევია ამისათვის? მრ. ვიბლი არც ადამიანთა კრიტიკოსია და არც წიგნებისა; მაგრამ იგი გვარწმუნებს, რომ თუ წავიკითხავთ წიგნებს, რომლებიც მას წაუკითხავს, მასავით ვისიამოვნებთ; და თუ წავიკითხავთ, საკუთარი აზრებიც გაგვიჩნდება. და თუ მას კრიტიკოსის წონასწორობა არ გააჩნია, სამაგიეროდ სხვაგვარად, თავისებურად აწონასწორებს. ეს ნაწილობრივ იმიტომ ხდება, რომ მისი გემოვნება პურიტანული არაა და ისე საუბრობს რესტავრაციის დრამატურგებსა და სხვებზე, რომ არ ბოდიშობს მათი „უზრდელობის“ გამო; ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ გრძნობს ადგილობრივსა და დროებით გემოს; და ნაწილობრივ მისი ჯანსაღი მადის გამოც.

არაკრიტიკულ თვისებათა ნაზავმა უფრო, ვიდრე უკრიტიკულობისა, გადააქცია მრ. ვიბლი ყველაზე შესაფერ პიროვნებად მსოფლიოში იმ სამუშაოსათვის, რაშიც ყველაზე მეტადაცაა ცნობილი. უფრო მეტადაც ვიქნებოდით მადლიერნი „ტიუდორებისდროინდელ თარგმანთა სერიებისათვის“, თუკი შეგვეძლებოდა წიგნების მოძიება საყიდლად და თუ შევძლებდით ყიდვას, როცა ვიპოვნიდით. მაგრამ ეს მრ. ვიბლის ბრალი არ არის. წინათქმანი, რომელნიც რამდენიმე თარგმანისათვის დაწერა, სწორედ ისეთია, როგორიც ამგვარი წინათქმანი უნდა იყოს. არქართის მიერ თარგმნილი *რაბლეს* მისეული გამოცემა შეიცავს მწერალზე ყველანაირ უადგილო ინფორმაციას, რაც საჭიროა მადის გასაღვიძებლად. წინათქმის წაკითხვის შემდგომ არქართის წაკითხვა ამქვეყნიურ, გამორჩეულ სიამედ გადაიქცა. ამიტომაც, ცოცხალი კრიტიკისაგან მიტოვებულ ქვეყანაში, მრ. ვიბლი საჭირო კაცია: რადგან უპირველესი ისაა, რომ საჭიროა ინგლისური ლიტერატურის წაკითხვა. მცირეოდენმა, რომელნიც ჭკვიანურად საუბრობენ სტენდალსა, ფლობერსა და ჯეიმზზე, უწყის ეს; მაგრამ მრავალთ, რომელნიც ზედაპირულად ეხებიან მათ, ისიც კი არ იციან, რომ ინგლისური ლიტერატურა კუნძულოვანია. ორი გზა არსებობს, რითაც მწერალი უნდა გაგვიძღვეს გარდაცვლილ მწერალთაგან მისაღები სარგებლისაკენ. ერთი ისაა, რომ უნდა განაცალკევოს არსებითი, ყველაზე ღრმა გამოარჩიოს მრავალფეროვნებაში და გამოჰყოს გარემო შემთხვევათაგან. ეს მეთოდი სასარგებლოა მხოლოდ უფრო ინტელექტუალურ ადამიანთათვის, რომელთაც შეუძლიათ განსაკუთრებულად დატკბნენ სრულყოფილი გამოთქმით და მიდრეკილნი არიან საუკეთესოსაკენ ნებისმიერ ხელოვნებაში. მეორე მეთოდი მრ. ვიბლისა გახლავთ და გარკვეული დროის გემოვნებას უკავშირდება — და იმ გარკვეული დროისათვის საუკეთესოს, თუკი მართლაც იმ გარკვეულ დროს განეკუთვნება. და არც ესაა ძალზე იოლი. რადგან წმინდაწყლის ჟურნალისტი ყველა დროს საკმაოდ კარგად არ იცნობს; წმინდაწყლის დილეტანტის ცოდნა მეტისმეტად ეგოისტურია და მისივე ყაიდაზეა გაწყობილი. მრ. ვიბლი ნამდვილად დაინტერესებულია; და იგი გაექცა, ყოველგვარი რევოლუციური პროგრამის გარეშე, აწმყო დროს სტიუარტებისა და ტიუდორთა ეპოქაში. გაიქცა და ალბათ სხვებიც გაიყოლია იმ გემოვნების წყალობით, რაც მაინცდამაინც ლიტერატურული გემოვნება არ გახლავთ.

„ტიუდორებისდროინდელი თარგმანები“ ნაწილობრივ აყალიბებს ამ გემოვნებას. ზოგიერთი უკეთაა დაწერილი, ვიდრე სხვები. მრ. ვიბლიმ ალბათ არ იცის, რომ ფლორიოს თარგმანსა და ორიგინალს შორის უეჭველად იმხელა განსხვავებაა, რაც ცასა და მიწას შორის. მონტენის ფრანგული მოწიფული ენაა, ფლორიოს ინგლისური კი ასეთი ვერაა. მონტენი შეიძლებოდა თარგმნილიყო იმდროინდელ ინგლისურზე, თუმც იმ ენაზე მსგავსი ნაშრომი ვერ დაიწერებოდა. მაგრამ როცა ინგლისური ენა მოიწიფა, დაჰკარგა ის, რაც ფლორიოსა და მასზე დაბლა მდგომ მისივე კოლეგებს ჰქონდათ და რაც აკავშირებდათ მონტენის ენასთან. ეს მხოლოდ ენა კი არ გახლდათ, არამედ დროც. იმდროინდელ პროზას ჰქონდა ცხოვრება, რასაც მომდევნო ეპოქები ვერაფერს დაამატებდნენ და საიდანაც აღება თუ შეეძლოთ. იმავე ცხოვრებას, იმავე სისავსეს ჰპოვებთ მონტენსა და ბრენტომთან, ცვლილებას შეხვდებით როშფუკოსა და ჰობსთან, კლასიკური პროზის გამოფშუტვას კი, ორივე ენაში, ვოლტერსა და გიბონთან ნახავთ. ოღონდ ფრანგული დასაბამიდან უფრო მდიდარი და მოწიფული იყო — უკვე ჟოინვილსა და კომინთან — და ჩვენ არ გაგვაჩნია მონტენსა თუ რაბლესთან შესადარებელი პროზა. და თუ მრ. ვიბლი გაგვიანალიზებდა ამ სიცოცხლისუნარიანობას და გვეტყოდა თუ რატომ არიან ჰოლანდი და ანდერდაუნი, ნეში და მარტინ მარპრელატი ჯერაც წაკითხვის ღირსნი, მაშინ შეძლებდა ეჩვენებინა თუ როგორ გამოგვეცნო ეს თვისება, როცა ის, ან რაღაც მსგავსი, გამოჩნდებოდა ჩვენს დროში. მაგრამ მრ. ვიბლი ანალიტიკოსი არ გახლავთ. მისი გემოვნება მაშინაც კი ნაკლებ დამაჯერებელია, როცა მიმართულია მისი ეპოქის პიროვნებებისაკენ. სარეის თეთრი ლექსის საკითხში მოისუსტებს, იმდენი წყალობაც კი არ გამოიჩინა სარეისადმი, რომ ეჩვენებინა თუ როგორ განისაზღვრება მასთან ტენისონის საუკეთესო მიღწევანი. საქებარი სიტყვა არ გაუმეტებია გოლდინგისათვის, მართლაც რომ ერთი საუკეთესოსათვის ლექსის მთარგმნელთა შორის; მის ნაცვლად იბოდიშებს, ოვიდიუსი ძალასა და ენერგიას არ მოითხოვსო! მაგრამ ძალა და ენერგიაა თუნდ მარლოსეულ *„სატრფიალოებში“*. და არც გევინ დუგლასს ახსენებს, ვინც თუმცა სკოტურად წერდა, მაინც უთუოდ „ტიუდორებისდროინდელი“ მთარგმნელი გახლდათ. დამახასიათებელია, რომ მრ. ვიბლი აქებს ჩეპმენს, რადგან „გვიდასტურებს სიცოცხლით სავსეობას, ჩაუქრობელ ენერგიას. დიდებულია და ამაღლებული ჩეპმენის გამომხატველობა, არ ჩამოუვარდება ორიგინალს“...

მსჯელობა ბანალურია და არაკრიტიკული. და კრიტიკოსმა არც ასეთი დაუდევარი ფრაზა უნდა გამოიყენოს, როგორიცაა „ტასოს შედევრი“. ესეი კონგრივზე არაფერს ჰმატებს ჩვენს შემეცნებას:

„და ამრიგად მან სცენაზე გამოიყვანა ცოცხალი ჭკუისა და ცინიკური იუმორის მქონე კაცები და ქალები, ვინც ისე ბრწყინვალედ და სწრაფად მეტყველებდნენ, ვით დაოსტატებული მოხმალავე ფარიკაობს“.

ამგვარი საუბარი ფარიკაობაზე ადრეც გვსმენია. და გულში აღგვეძვრის ეჭვი, რომ მრ. ვიბლის ჯორჯ მერედიტი უნდა მოსწონებოდა. ესეი რეილიზე კიდევ უფრო ნაკლებს გვაძლევს. ნამდვილი სახე ამ მოსაწონი მეკობრისა და მონოპოლისტისა გამოეპარა და მხოლოდ ეროვნული გმირი შერჩა ხელთ. და მაინც, რეილი და სვიფტი და კონგრივი და იატაკქვეშეთი XVI და XVII საუკუნეთა მწერლობისა როგორღაც სიცოცხლეს ინარჩუნებენ იმით, რასაც მრ. ვიბლი ამბობს მათზე.

ამრიგად, მრ. ვიბლი არ გაჰქრება ჟურნალიზმისა და ყალბი კრიტიკის ჯუნგლებში; იგი იმსახურებს „ადგილს თაროზე“ იმ ადამიანებისა, რომელნიც ზრუნავენ ინგლისურ ლიტერატურაზე. მას აქვს კრიტიკოსისათვის საჭირო თვისება: აინტერესებს თავისი საგანი და შესწევს უნარი, საგულისხმოდ გადმოსცეს ის. ნაკლოვანებანი მის ინტელექტსა და გრძნობებშია. არ გააჩნია უნარი გამოცალკევებისა. იმ ლიტერატურაში, რომელიც მას აღაფრთოვანებს, უამრავი განსაზღვრული ცოდვა, ნაკლოვანება და უმწიფარობა იყო; და რადგან იგი ის პიროვნება არ არის, ვინც ამ ცოდვა-ნაკლოვანებებზე გვეტყვის, არც ის პიროვნებაა, ვინც წინ დაგვიდებს ყოველმხრივ მშვენიერ ნაშრომს. კრიტიკის იარაღთაგან არცერთს არ იყენებს, არც შედარებასა და არც ანალიზს. არ გააჩნია ვნების დაოკების უნარი, რაც უშეცდომოდ გამოაცნობინებდა გადასვლას მარადიული ძალის ნაშრომიდან უბრალოდ მშვენიერ ნაშრომამდე, და ნაშრომიდან, რომელიც უბრალოდ მშვენიერია, ნაშრომამდე, რომელიც უბრალოდ მომხიბლავია. რადგან კრიტიკოსს უნდა შეეძლოს არამარტო აღავსოს საკუთარი თავი დროისა და ყაიდის სულით — ადგილობრივი გემოვნებით — არამედ უეცრად გამოიცალკევოს თავი მისგან უმაღლესი შემოქმედებით ნაშრომის შეფასებისას.

და მას სჭირდება სხვა რამეც, რაც მრ. ვიბლის აკლია: შემოქმედებითი ინტერესი, დამიზნება უახლოესი მომავალისაკენ. მნიშვნელოვანი კრიტიკოსი ის პიროვნებაა, ვინც ჩაფლულია აწმყოს ხელოვნების პრობლემებში და ვისაც სურს წარსულის ძალები გადმოიტანოს ამ პრობლემათა მოსაგვარებლად. მაგალითად, თუ კრიტიკოსი კონგრივს განიხილავს, ყოველთვის დარჩება გონების სიღრმეში შეკითხვა: რა ჰქონდა კონგრივს ისეთი, რაც შეჰფერის ჩვენ დრამატულ ხელოვნებას? და თუნდ მარტოდმარტო ცდილობდეს კონგრივის გაგებას, ამით ყველაფერი შეიცვლებოდა; რამდენადაც რაღაცის გასაგებად საჭიროა გავიგოთ გარკვეული თვალსაზრისის კვალობაზე.

შენიშვნა ამერიკელ კრიტიკოსზე

კრიტიკოსთა ეს გამოფენა არანაირად არ გახლდათ განზრახული, რომ სრული ყოფილიყო. მაგრამ როცა სამ ინგლისელ მწერალს განიხილავ, რასაც შეიძლება კრიტიკული პროზა ეწოდოს, კაცის გონება გააცნობიერებს იმას, რომ მათ რაღაც აქვთ საერთო, და შეეცდება ჩაწვდეს, თუ რა არის ეს საერთო, და იეჭვებს, რომ ესაა ეროვნული თავისებურება, და შეაგულიანებს ფიქრი ყველაზე უფრო მძლავრი განსხვავების მისაგნებად, რაც კი შესაძლებე-

კრიტიკოსთა უმრავლესობას გარკვეული შემოქმედებითი ინტერესი აქვს — და შესაძლებელია, იმის ნაცვლად, რომ ხელოვნების გარკვეული დარგი აინტერესებდეს, აინტერესებდეს (მრ. პოლ ელმერ მორის მსგავსად) ზნეობა. ეს შენიშვნები გაგაცანით მარტოდენ იმისათვის, რომ მრ. ვიბლის წიგნისათვის დაგვეთმო ადგილი, განსაკუთრებული და უბილეთო ადგილი, არც კრიტიკასა და არც ისტორიაში, და არც პირწმინდა ჟურნალიზმში; და საჭიროება სულაც არ გაჩნდებოდა, თუკი ეს წიგნები ადგილის ღირსი არ იქნებოდა.

ლია. აქედან გაჩნდა ჩანაწერები ორ ამერიკელ კრიტიკოსსა და ფრანგ კრიტიკოსზე, რასაც მაინცდამაინც ასეთი ფორმა არ ექნებოდა, რომ არა ის განსხვავება, რაზეც მიგანიშნეთ.

მრ. ელმერ მორი ავტორია მრავალი ტომისა, რითაც ალბათ იმედოვნებს მოცულობით გადააჭარბოს სენტ-ბევის შრომათა სრული კრებულის რეკორდს. სენტ-ბევთან შედარება სრულებითაც არ გახლავთ უადგილო, რადგან მრ. მორი და პროფესორი ირვინგ ბებიტი თაყვანისმცემელნი არიან ტომმრავალი ფრანგისა. და არამარტო თაყვანისმცემელნი, არამედ მათი თაყვანისცემა ალბათ გასაღებიცაა მათ მრავალ ღირსებასა და ორიოდე ნაკლოვანებაში შესაღწევად. პირველ ყოვლისა ორივე, ამ მწერალთაგან, უფრო დიდ ყურადღებას აქცევს ფრანგული კრიტიკის, წერისა და აზროვნების ფრანგულ სტანდარტთა შესწავლას, ვიდრე შესანიშნავ ინგლისელ კრიტიკოსებს, არნოლდიდან მოყოლებული; ამიტომაც უფრო ახლოს არიან ევროპულ ნაკადთან, თუმც იმგვარ ნაკლოვანებებს წარმოაჩენენ, რაც აშკარად ტრანსატლანტიკურია და რისგანაც ისინი აშკარად განზე დგანან. ფრანგული გავლენა მოჩანს მათ ერთგულებაში იდეებისადმი და დაინტერესებაში ხელოვნების და ცხოვრების პრობლემებით, არსებული პრობლემებით, რომელთა მოგვარებაც ისე შეიძლება, რომ კრიტიკოსის პირად ტემპერამენტს არ დავუკავშიროთ. სუინბერნისათვის ელიზაბეთური ლიტერატურის კრიტიკა ტრფობის სფერო იყო, და ასე ხდება ნებისმიერ ნაწერში ინტელექტუალი ადამიანისა, ვინც ჭეშმარიტად შეძრულია რომელიმე პოეზიით. სუინბერნის ინტელექტი ნაკლოვანი კი არაა, დაუხვეწავია. სუინბერნის კრიტიკულ ნაწერებში არის მცირეოდენი იდეები, რაც ისეთი ბრწყინვალებით წარმოგვიდგება თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებით, რომ გვავიწყდება ავტორი გამოთქმული აზრისა. და თუ სუინბერნისათვის ლიტერატურა მხოლოდ ვნებაა, ჯორჯ ვინდჰემისათვის ჰობი გახლავთ, ხოლო მრ. ვიბლისათვის — ლამის ლაზათიანი წარმოდგენა შოუმენისა (და მოგვწონს თავაზიანობა შოუმენისა). ეს ორნი სიამოვნებენ, მაგრამ სიამოვნება გემოვნება არ გახლავთ; ის დამოკიდებულია მჭამელის მადასა და მონელების უნარზე. და კიდევ ორიოდე სხვა მწერლისათვის, რომელთა განხილვის შესაძლებლობაც არ მომეცა, ლიტერატურა იმდენად ძვირფასი ფაიფურის კოლექცია არ არის, რამდენადაც ინსტიტუცია — აღიარებული, ასე ვთქვათ, იმნაირი სერიოზულობით, როგორითაც ეკლესიისა და სახელმწიფოს დაწესებულებანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არსებითად არაკრიტიკული დამოკიდებულებაა. ყველა ამ მიმართებით ინგლისელი კრიტიკოსი თავისი ტემპერამენტის მსხვერპლია. შეუძლია შეიძინოს დიდი ერუდიცია, მაგრამ ერუდიცია იოლად გარდაიქმნება ჰობად; და უსარგებლოა, ვიდრე შეგვაძლებინებდეს, შევხედოთ ლიტერატურას ყოველი მხრიდან, განვაცალკევოთ ჩვენგან, რათა მივაღწიოთ წმინდა განაზრების ყოფას.

ხოლო მრ. მორმა და მრ. ბებიტმა სცადეს დაემკვიდრებინათ კრიტიკა, რაც დამოუკიდებელი იქნებოდა ტემპერამენტისაგან. ეს თავისთავად დიდმნიშვნელოვანი ღირსებაა. მაგრამ აქ, უშუალოდ მრ. მორს, საკმაოდ უცნაურად დაუბნია გზა მისმა გამყოლმა სენტ-ბევმა. არც მრ. მორი და არც სენტ-ბევი უპირველესად ხელოვნებით არ ინტერესდებიან. ამ უკანასკნელზე მისიე ბენდამ კარგად შენიშნა, რომ on sait — et c'est certainement un des grands éléments de son succès — combien d'études l'illustre critique consacre à des-auteurs dont l'importance littéraire est quasi nulle (femmes, magistrats, courtisans, militaires), mais dont les écrits lui sont une occasion de pourtraiturer une âme; combien volontiers, pour les maîtres, il s'attache à leurs productions secondaires, notes, brouillons, lettres intimes, plutôt qu'à leurs grandes œuvres, souvent beaucoup moins expressives, en effet, de leur psychologie.

(ვიცით — და ამან ნამდვილად დიდად განაპირობა მისი წარმატება — თუ ცნობილმა კრიტიკოსმა რამდენი გამოკვლევა მიუძღვნა ავტორებს, რომელთაც ლიტერატურული ღირებულება ლამის ნულის ტოლფასია (ქალები, მაგისტრატები, კურტიზანები, სამხედროები), მაგრამ რომელთა ნაწერები მას აძლევს შესაძლებლობას, შექმნას სულის პორტრეტი; რაც შეეხება მეტრებს (დიდ მწერლებს), რაოდენ სიამოვნებით ანიჭებს ის უპირატესობას მათ მეორეხარისხოვან ქმნილებებს, შენიშვნებს, შავად ჩანაწერებს, პირად წერილებს, ვიდრე მათ დიდ ნაწარმოებებს, რომლებიც ხშირად მართლაც ნაკლებ გადმოსცემენ მათ ფსიქოლოგიას).

მრ. მორი არ არის სენტ-ბევივით უპირველესად ფსიქოლოგიითა თუ ადამიანებით დაინტერესებული; იგი უწინარეს ყოვლისა მორალისტია, რაც ღირებული და სერიოზული რამ გახლავთ. მრ. მორთან საწუხარი ისაა, რომ ვერ გადაანაწილებ ზნეობრივ თეორიასა თუ თვალსაზრისს მრავალრიცხოვან ესეებში ლიტერატურის მრავალგვაროვან, მნიშვნელოვან ფიგურებზე, თუკი სხვა, უფრო განსაკუთრებულ ინტერესს არ გამოამჟღავნებ. სენტ-ბევს განსაკუთრებით აინტერესებდა ადამიანები; მეორე კრიტიკოსს — ვთქვათ, რემი დე გურმონს — ყოველთვის შეეძლო რაიმე ეთქვა მწერლის ხელოვნებაზე, რაც უფრო ღრმად გაგვაგებინებდა და გაგვაცნობიერებინებდა ტკბობას ამ მწერლით. ხოლო წმინდა მორალისტი მწერლობაში — მორალისტი, გამოსადეგი შემოქმედისა და პოეზიის მკითხველისათვისაც — უფრო სხარტი უნდა იყოს, რადგან მის მიერ აგებული შენობის მშვენიერებით დატკბობა უნდა შევძლოთ. და აქ მისიე ჟულიენ ბენდას დიდი უპირატესობა მოეპოვება მრ. მორთან შედარებით; მისი აზროვნება ეგებ ნაკლებ ღრმაა, მაგრამ მასში მეტია ფორმის მშვენიერება.

მრ. ირვინგ ბებიტმა, ვინც ისე უხვად იზიარებს მრ. მორის იდეალებსა და მოსაზრებებს, რომ მათი სახელები უნდა დავაწყვილოთ, თავის ნაფიქრი გამოთქვა უფრო აბსტრაქტულად, უფრო ფორმალისტურად და თავისუფალია მისტიკური იმპულსისაგან, რაზეც დროდადრო ეცმადუნება ხოლმე ხელი მრ. მორს. როგორც ჩანს, იგი უფრო ნათლად სწვდება ევროპას, ვითარცა მთლიანობას, ვიდრე მრ. მორი, და უთუოდ უფრო ნათლად, ვიდრე ნებისმიერი მისი ტოლი კრიტიკოსი ამერიკასა თუ ინგლისში; მას აქვს კოსმოპოლიტური გონება და მისწრაფება ცენტრის ძიებისაკენ. მისი ორიოდე წიგნი მნიშვნელოვანია და უფრო მნიშვნელოვანიც იქნებოდა, მოძღვრებას უფრო მოწესრიგებულად რომ ქადაგებდეს. თუმც იგიც სენტ-ბევის თაყვანისმცემელია, ალბათ ხელს მოაწერდა ოტენინ დ'ოსონვილის ამ მშვენიერ აბზაცს:

Il y a une beauté littéraire, impersonnelle en quelque sorte, parfaitement distincte de l'auteur lui-même et de son organisation, beauté qui a sa raison d'être et ses lois, dont la critique est tenue de rendre compte. Et si la critique considère cette tâche comme au-dessous d'elle, si c'est affaire à la rhétorique et à ce que Sainte-Beuve appelle dédaigneusement les Quintilien, alors la rhétorique a du bon et les Quintilien ne sont pas à dédaigner.

(არსებობს ლიტერატურული სილამაზე, გარკვეულწილად უპიროვნო, ავტორის პიროვნებისგან და მისი აგებულებისგან სავსებით დამოუკიდებლად, სილამაზე, რომელსაც არსებობისათვის თავისი გამართლება და კანონები აქვს, რაც კრიტიკამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. და თუ კრიტიკას მიაჩნია, რომ ეს მის ძალისხმევას აღემატება, და რომ ეს რიტორიკის საქმეა და იმათი, ვისაც სენტ-ბევი ამრეზით კვინტილიენელთ უწოდებს, მაშინ რიტორიკა გამართლებულია და კვინტილიენელთაც ანგარიში უნდა გავუწიოთ).

შესაძლოა რამდენიმე კრიტიკოსი არსებობდეს ინგლისში, ვინც ტაშს დაუკრავდა ამ შეხედულებას; ძალზე ცოტა დაიძებნება, რომელთა ნაწერებშიც მსგავსი გააზრების ნიშანწყალს აღმოვაჩენდით. მაგრამ მრ. მორი და მრ. ბებიტი, როგორი გემოვნებაც უნდა ჰქონდეთ, თუმც უპირატესად ხელოვნებით არ არიან დაკავებულნი, მაინც ხელოვანის მხარეს იმყოფებიან. და ხელოვნების მხარე კი ის მხარე არ გახლავთ, რასაც ინგლისში ხშირად იჭერენ კრიტიკულ მწერლობაში. როგორც მრ. მორმა შენიშნა თავის საგულისხმო ესეიში, შესამჩნევი სისუსტეა არნოლდისეულ განსაზღვრებაში კრიტიკისა, თითქოს ეს იყოს „მიუდგომელი მცდელობა, გაიგომეტი, რაც ცნობილი და ნაფიქრია მსოფლიოში, დამოუკიდებლად პრაქტიკისა, პოლიტიკისა და ყველაფერი მსგავსისაგან". „მიუდგომელი მცდელობა, გაიგო" მხოლოდ წინაპირობაა **კრიტიკოსისათვის** და **არა კრიტიკა**, რაც შეიძლება იყოს ნაყოფი ამგვარი მცდელობისა. არნოლდი კრიტიკოსის სამუშაოს მხოლოდ პიროვნული იდეალის მიხედვით აფუძნებს — ვინმეს იდეალზე, ხოლო ვინმეს იდეალი არ არის მიუდგომელი. აქ არნოლდი უფრო ბრიტანელია, ვიდრე ევროპელი.

მრ.მორი საკუთარ შეხედულებას წარმოაჩენს და აქებს მათ, რომელნიც კრიტიკის ოსტატებად მიაჩნია:

„და თუ ლიტერატურის კრიტიკაში უფრო საქმიანობენ, ეს იმიტომაც, რომ ცხოვრება ლიტერატურაში უფრო კანთიელად წარმოაჩენს თავის უსაზღვროდ მრავალფეროვან მოტივებსა და შედეგებს; და მათი საქმიანობა მუდამ ისაა, რომ თვით ლიტერატურა წარმოადგინონ მეტად გააზრებულ კრიტიკად ცხოვრებისა".

„კრიტიკად ცხოვრებისა" მსუბუქი ფრაზაა, უკეთეს შემთხვევაში მარტოდენ ერთ ასპექტს გვიჩვენებს დიადი ლიტერატურისა, და თუ ტერმინს „კრიტიკა" ზოგადობას ვერ მიანიჭებს, სიზუსტეს მაინც დააკარგვინებს. მგონია, ამ წინადადებაში მრ. მორს ხელი მოეცარა, მარჯვე სერიოზულობით მოენიშნა ლიტერატურის დიადი ხელოვნება; იმგვარი სერიოზულობით, რასაც ვხვდებით ვიიონის „ანდერძში" და რასაც აშკარად მოვისაკლისებთ In Memoriam-ში; ან ისეთი სერიოზულობით, როგორითაც წარმართულია **„ამოს ბარტონი"** და არა **„წისქვილი ფლოსზე"**.

სამწუხაროა, რომ მრ. მორი ცოტა უფრო ხშირად არ წერს ლიტერატურის დიად ხელოვანებზე, სამწუხაროა, რომ ასე საზეიმოდ აღიქვამს ცხოვრებისეულ დიდებას. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ ევროპული ცენტრიდან შორსაა. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ზეიმურობა ინგლისური და ზეიმურობა ამერიკული ძალზე განსხვავებულია. განსხვავების ანალიზს არ შემოგთავაზებთ (ეს სოციალური ისტორიისათვის ღირებული ნაწილია); საკმარისია ითქვას, რომ ამერიკული ზეიმურობა უფრო პრიმიტიულია, უფრო აკადემიური და უფრო წააგავს გერმანელ პროფესორს. ის კი მრ. მორისა და მრ. ბებიტის ბრალი სულაც არ გახლავთ, რომ იდეების კულტურამ ამერიკაში მხოლოდ უნივერსიტეტის შეუფერებელ გარემოში შეძლო გადარჩენა.

ფრანგული ინტელექტი

როგორც ინგლისურმა ნიმუშებმა მოითხოვა, დაჟინებით გადაგვეხედა ორი ამერიკელი კრიტიკოსისათვის, ასევე მათმა გააზრებამ მიგვაქცევინა ყურადღება ფრანგულზე. მისიე ჟულიენ ბენდას ახასიათებს ფორმალური მშვენიერება, რაც აკლიათ ამერიკელ კრიტიკოსებს, და თვალსაზრისით კი მათთან ახლოს დგას. ალბათ იგი იზღუდება იდეათა უფრო ვიწრო სივრცისათვის, მაგრამ იმ სივრცეში მოხერხებულად, არაჩვეულებრივი დასაბუთებითა და სინათლით იყენებს იდეებს. მისი ბოლო წიგნის აღსანიშნავად (*Belphégor: essai sur l'esthétique de la présente société française*) ციტატას მოვიხმობდით მისგანვე. მ. ბენდა არ გახლავთ — რემი დე გურმონივით — თაობის კრიტიკული სინდისი, არ გვაწვდის მზა ფორმულებს გრძნობათა ჩამოყალიბების პროცესისა; იგი უფრო იდეალური დამსუფთავებელია ჩვენი დროისა. თანამედროვე ფრანგული საზოგადოების დეკადანსის ანალიზის დიდი ნაწილი შეიძლება გადმოვიტანოთ ლონდონზეც, თუმც მისეულ დიაგნოზში განსხვავებანიც მოჩანს.

Quant à la société en elle-même, on peut prévoir que ce soin qu'elle met à éprouver de l'émoi par l'art, devenant cause à son tour, y rendra la soif de ce plaisir de plus en plus intense, l'application à la satisfaire de plus en plus jalouse et plus perfectionnée. On entrevoit le jour où la bonne société française repudiera encore le peu qu'elle supporte aujourd'hui d'idées et d'organisation dans l'art, et ne se passionera plus que pour des gestes de comédiens, pour des impressions de femmes ou d'enfants, pour des rugissements de lyriques, pour des extases de fanatiques...

(რაც შეეხება თვით საზოგადოებას, შეიძლება განვჭვრიტოთ, რომ ის ძალისხმევა, რომელსაც ის იყენებს, რათა ხელოვნებამ მასში ემოცია გამოიწვიოს, რისი მიზეზიც ის თავის მხრივ ხდება, ამ სიამოვნების წყურვილს სულ უფრო და უფრო გაზრდის, ხოლო ამ წყურვილის დაკმაყოფილების მცდელობა იქნება სულ უფრო და უფრო თავგამოდებული და დახვეწილი. შორს არ არის ის დღე, როდესაც კეთილშობილი ფრანგული საზოგადოება უარყოფს აზროვნებასა და ხელოვნების ორგანიზებაში იმ მცირედსაც, რომელსაც დღეს კიდევ იტანს და მარტოდენ მსახიობთა ჟესტების, ქალებისა და ბავშვების შთაბეჭდილებების, ლირიკოსთა მძვინვარების, ფანატიკოსთა ექსტაზების მიმართ გამოიჩენს ცხოველ ინტერესს)...

ლამის ერთადერთი პიროვნება, ვინც გამოჩენილა ინგლისში და ცდილა იგივე ამოცანა შეესრულებინა, რაც მ. ბენდამ შეასრულა, მეთიუ არნოლდია. მეთიუ არნოლდი განათლებული კაცი გახლდათ და სწორედ ამ განსხვავების გამო, რაც განათლებული კაცის ყოფნას მოაქვს, ჩვენი ეპოქა არნოლდის ეპოქაზე დაბლა დგას. მაგრამ რა უპირატესობა აქვს მ. ბენდას მსგავს კაცს არნოლდთან შედარებით? მხოლოდ ის კი არა, მის ზურგს უკან კრიტიკული ტრადიცია რომ იყო, და არც ის, არნოლდის მიერ გამოყენებული ენა გამუდმებით რომ აცდუნებს გამომყენებელს, გასცდეს მშვიდ მსჯელობას და სარკაზმსა და ბრალდებაში გადავიდეს. ეს ენა ნაკლებაა მორგებული კრიტიკას, ვიდრე XVIII საუკუნის ინგლისური. უპირატესობა ისაა, რომ ფრანგულის დაუდევრობანი და სულელობანი, რაც უნდა მდაბალი იყოს, იდეებშია გამოხატული — თვით ბერგსონიზმიც კი ინტელექტუალური კონსტრუქციაა, და მაღალი წრის ხალხი, რომელნიც მის ლექციებს ესწრებოდნენ კოლეჟ დე ფრანსში, გარკვეულ დონემდე იყენებდნენ თავიანთ გონებას. იდეების კაცს სჭირდება იდეები ან ფსევდოიდეები, რათა შეებრძოლოს. და არნოლდს კი აკლდა აქტიური წინააღმდეგობრიობა, რათა გონება გაეფხავებინა.

საზოგადოება, რომელშიც მ. ბენდას მსგავსი გონება გამოაწრთობს თავის თავს და რომელშიც არიან მ. ბენდას მსგავსნი, ის საზოგადოებაა, რომელიც მხარში უდგას შემოქმედი ხელოვანის ამოცანას. მ. ბენდას — გურმონისა არ იყოს — ვერ მივაკუთვნებთ რომელიმე შემოქმედებით ჯგუფს. იგი სრულად არ ჩართულიყო იმ „გაცნობიერებულ შექმნაში აწმყოს სივრცისა წარსულისაგან", რაც მრ. მორს კრიტიკოსის სამუშაოს ნაწილად მიაჩნია. მაგრამ მეორეხარისხოვანი თუ გადაგვარებული ლიტერატურის სნეულებათა ანალიზისას იგი კისრულობს იყოს შემოქმედებითი ხელოვნების მეჩირაღდნე. ინგლისური ლიტერატურის შარლ ლუი ფილიპებს ვერაფერს ვუხერხებთ, რადგან არავინაა ისეთი, მათ რეპუტაციას რომ დაასამარებდა; ჯერაც გვესმის, რომ ჯორჯ მერედიტი პროზის ოსტატიცაა და ღრმა ფილოსოფოსიც. შემოქმედი ხელოვანი ინგლისში იძულებულია, ან ბოლო-ბოლო ცდუნებულია, კრიტიკას შეალიოს თავისი დრო და ენერგია, რაც უნდა შემოენახა საკუთარი ხელობისათვის: მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა არავინაა, ამას ვინც აღასრულებს.

თარგმნეს პაატა და
როსტომ ჩხეიძეებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ ბესელია

* * *

გინდა, არ გინდა —
ბავშვობაში შეგითრევს ძალით,
როს წააწყდები ცალხაზიან
რვეულში ნაწერს:
შემოდის სახლში გაწრიპული
მეზობლის რძალი
და ბებოსაგან ნათხოვრობს საცერს...

გამოაქვს ბებოს საცერი და
გაატანს დინჯად,
გახედავს ბაბუს
(თან ბაბუას პულოვერს არღვევს):
„სახლში რომ არ აქვთ საცერი და
არა აქვთ ქვიჯა,
რა ეცოლებათ ამნაირ ბალღებს!..“

ბრუნდება ისევ მეზობელი,
საყვარლად ხმელი
და ბაბუ, როგორც ბებო ამბობს,
თვალებით სინჯავს...
დაკიდებს საცერს საკიდარზე
თავისი ხელით
და ბუჯერიდან წაიღებს ქვიჯას!..

ვკითხულობ ნაწერს,
აღარც ბებო, ცომი და ვარცლი,
აღარც მეზობლის წრიპა რძალი —
უფლის ნახატი...
სიცოცხლე, როგორც
წყლის ნაყვა და
წყლის ზიდვა საცრით...
სიკვდილი, როგორც
შეწერილი გადასახადი!..

ხსოვნა

სიკვდილს დიდივით რომ ვბედავ,
შენ არ გამიბედო გლოვა...
გახსოვს?
— თუ არ მოვკვდი ბედად,
შენთან უსიკვდილოდ მოვალ...

ჩემთვის თაიგულს რომ არჩევ —
ზეცის აყვავებულ ოვალს...
გახსოვს?
— მეეჭვება დავრჩე,
მაგრამ უეჭველი მოვალ...

ცაში, მორჩილების ნუკვით,
ვარ და..
უშენობის თვეა...
მე აქ შევეჩვიე უკვე
ცისფერ თოჯინების თეატრს...

აწი მე ვიქნები მწყემსი —
ჩემსას მე მოვუვლი ედემს...
შენ კი მიამსხვრიე ლექსი
ხსოვნის უსაშველო კედელს...

* * *

ვსვი ჯინი და
ვსვი მარტინი,
ახლა უფრო
ჭაჭა მნებავს,
ვსვამ,
ცხოვრებას ვიმარტივებ,
ვაფრთხობ დარდის
ჭაჭანებას

(და სულ ველი
ბუნაგიდან
ბედის გამოჩანჩალებას)...



თეონა ბითაძე

გამოვიგონებ

ახლა შენს ნახვას არა აქვს აზრი,
ეცვალათ ფერი სათქმელ სტრიქონებს.
გულში ჩავკალი უსაგნო ბრაზი,
რაღაც გასართობს გამოვიგონებ
და ასე გავძლებ, ვიდრე გაივლის
უფერულება სათქმელ ფრაზათა...
შემოდგომისფერ ქუჩებში ვივლი,
იქნებ შემომხვდე
მაინც,
ანაზდად...

ისე, უბრალოდ

ვცდილობ, რომ შევხედო მარტივად
ყველაფერს, რაც გულში ცეცხლს აჩენს
და ზოგჯერ მგონია, კარტი ვარ,
სად ვგდივარ, ცხოვრება ვერც ამჩნევს.

ვცდილობ, რომ ცრემლები დავიშრო
და თავს მოვერიო ამჟამად,
სულის სიძლიერე გავიცნო,
მზისთვის გამოვაღო ფანჯარა.

ღმერთო, რა იქნება, გახსენი
ჩემს წინ აღმართული კედელი
და თან ნუ მომაკლებ შენდობას,
თუ ვერც მადლობის თქმა შევძელი.

ისეთი კარგი ხარ

შენ სულ ცასთან ახლოს დადიხარ,
ბედავ და
ღრუბლებს ეტოლები.
ხანდახან ისეთი კარგი ხარ,
მე რომ
ვერასდროს
მეყოლები.

ეს დღეც

ეს დღეც მოვიხსენი მხრებიდან,
ჯანღი — ქუთუთოებიდან.
ეჭვი დავიფერთხე გულიდან,
წუთები დავყავი რთულიდან
მარტივად
და ასე გავყევი
შვების დამრეც, ნეტარ დაღმართებს,
საღამო მუდმივად მიყვავებს,
საერთოდ,
მწუხრის ჟამს ვაღმერთებ...

**კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს
და მწერალთა სახლის
ლიტერატურული კონკურსი
„ლიტერა“**

მწერალთა სახლი
აცხადებს ლიტერატურული პრემია „ლიტერას“
კონკურსს 5 ნომინაციაში:

*** წლის საუკეთესო პროზაული კრებული**
*** წლის საუკეთესო პოეტური კრებული**
*** წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა**
*** წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი**
*** წლის საუკეთესო დებიუტი**

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრემია
4000 ლარის ოდენობით.

ლიტერატურული პრემიის საკონკურსოდ განიხილება 2016 წელს წიგნად/ელექტრონულ წიგნად ქართულ ენაზე გამოცემული ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები; პრემიაზე წარდგენილი წიგნი უნდა იყოს პირველი გამოცემა; წიგნის კონკურსზე წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ გამომცემლის მიერ; გამომცემლობებმა თითოეულ ნომინაციაში შეიძლება წარადგინონ არაუმეტეს ხუთი წიგნისა; კონკურსის შედეგებს აფასებს მწერალთა სახლის მიერ შერჩეული კონფიდენციალური ჟიური, რომელიც 5 წევრისგან შედგება; ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად შეიცვლება და მასში შევლენ ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება; გამარჯვებული გამოვლინდება ფარული კენჭისყრით. ჟიური იტოვებს უფლებას, გამონაკლისის სახით, ერთჯერადად, ერთ ან ორ ნომინაციაში პრემია გაყოს. ამ შემთხვევაში საპრიზო თანხაც გაიყოფა ორად.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2017 წლის 31 იანვარი.

კონკურსანტების მოკლე ნუსხას ჟიური აპრილის დასაწყისში წარადგენს. გამარჯვებულები 25-30 აპრილს გამოვლინდებიან.

გამომცემლობებმა კონკურსში მონაწილეობისთვის მწერალთა სახლის მისამართზე (მაჩაბლის ქ. 13) უნდა წარმოადგინონ:

* განაცხადი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, მწერალთა სახლის დირექტორის, ნატალია ლომოურის სახელზე;

* საკონკურსოდ შერჩეული წიგნები (3 ეგზემპლიარად);

ელექტრონული წიგნების წარსადგენად განცხადება, ინფორმაცია და წიგნის ბმული მოგვაწოდეთ ელ. ფოსტაზე info@writershouse.ge;
დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით info@writershouse.ge
ტელ: +99532 297 41 01; 297 41 02

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004